შემოსავლების სამსახური

ფინანსთა სამინისტრო

შემოსავლების სამსახურის 2023 წლის ანგარიში

ურთიერთობა მარტივია

შემოსავლების სამსახურის 2023 წლის ანგარიში

შინაარსი

შესავალი სიტყვა	7
შემაჯამებელი მიმოხილვა	9
ზოგადი მიმოხილვა	11
შემოსავლების სამსახურის ორგანიზაციული სტრუქტურა	13
საგადასახადო შემოსავლების ძირითადი მაჩვენებლები	14
სტრატეგიული მიზანი I	
საგადასახადო და საბაჟო ვალდებულებების შესრულებასთან დაკავშირებული კანონშესაბამისობის ამაღლება	17
სტრატეგიული მიზანი II	
ორგანიზაციის ინსტიტუციური შესაძლებლობების განვითარება და მდგრადობა	36
სტრატეგიული მიზანი III	
საერთაშორისო თანამშრომლობა	48
2023 წელს განხორციელებული სხვა მნიშვნელოვანი ღონისძიებები	57
საგადასახადო და საბაჟო სერვისების სრულყოფისა და განვითარების უზრუნველსაყოფად გაწეული ხარჯები	60
სოციალური აქტივობა	62
პარტნიორი ორგანიზაციები	65
სტატისტიკური მონაცემები	66

პირველი რიგი (მარცხნიდან მარჯვნივ)

ნინო ფოდიაშვილი
დავების დეპარტამენტის უფროსი

ლევან კაკავა
შემოსავლების სამსახურის უფროსი

თამარ ანდრიაძე
საზოგადოებასთან ურთიერთობის და მარკეტინგის დეპარტამენტის უფროსი

ნინო ყველაშვილი
ადამიანური რესურსების მართვისა და განვითარების დეპარტამენტის უფროსი

დინარა ჩუბინიძე
იურიდიული დეპარტამენტის უფროსი

მიხეილ ახვლედიანი
ფინანსური დეპარტამენტის უფროსი

მეორე რიგი (მარცხნიდან მარჯვნივ)

გიორგი ბუბუტეიშვილი
შიდა აუდიტის დეპარტამენტის უფროსი

ლევან წითელაშვილი
შემოსავლების სამსახურის უფროსის მოადგილე

ნოდარ კაკრიაშვილი
საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრის უფროსი

სამსონ ურიდია
საერთაშორისო ურთიერთობათა დეპარტამენტის უფროსი

ირაკლი შარტავა
შემოსავლების სამსახურის უფროსის მოადგილე

ზაზა თაბაგარი
ანალიტიკური დეპარტამენტის უფროსი

პაატა კილაძე
სამსახურის უფროსის პირველი მოადგილე

ზურაბ სიჭინავა
საბაჟო დეპარტამენტის უფროსი

ლევან დგებუაძე
მომსახურების დეპარტამენტის უფროსი

ლევან ბერაძე
სამსახურებრივი მონიტორინგის დეპარტამენტის უფროსი

თეიმურაზ გაბადაძე
საგადასახადო მონიტორინგის დეპარტამენტის უფროსი

რომან ბუღაძე
მეთოდოლოგიის დეპარტამენტის უფროსი

ვლადიმერ ხუნდაძე
სამსახურის უფროსის მოადგილე

ზაალ ტყეშელაშვილი
აუდიტის დეპარტამენტის უფროსი

ლევან კაკავა | საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის უფროსი

მოქალაქეებო, კოლეგებო, საერთაშორისო პარტნიორებო, ქალბატონებო და ბატონებო, მოხარული ვარ წარმოგიდგინოთ შემოსავლების სამსახურის 2023 წლის საქმიანობის ანგარიში.

”

პირველ რიგში, შემოსავლების სამსახურის გუნდის სახელით, მსურს მოგილოცოთ ევროკავშირისკენ მიმავალ გზაზე წინგადადგმული ნაბიჯი, საქართველოსთვის ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის მინიჭება. მოხარულნი ვართ, რომ საქართველოს თანამედროვე ისტორიის ამ მნიშვნელოვან მოვლენაში, ჩვენც მიგვიძღვის წვლილი.

წარმოვადგენთ რა საზოგადოებისადმი ანგარიშვალდებულებისა და გამჭვირვალობის პრინციპების ერთგულ ორგანიზაციას, მსურს გაგაცნოთ, 2023 წელს, ჩვენი საქმიანობის შედეგების, მიღწევების და მომავალი გამოწვევების შესახებ ინფორმაცია. წინამდებარე ანგარიში ასახავს ჩვენს უწყვეტ ძალისხმევას, გადასახადებისა და საერთაშორისო ვაჭრობის ეფექტიანი და სამართლიანი ადმინისტრირების გზით, ხელი შევუწყოთ ქვეყნის ეკონომიკურ ზრდას.

გლობალური ეკონომიკური რყევებით და რეგიონში არსებული გეოპოლიტიკური დაძაბულობით აღსავსე წელმა მრავალი ახალი გამოწვევის წინაშე დააყენა ჩვენი ქვეყანა. საბედნიეროდ, სამსახურმა გამოავლინა საჭირო მოქნილობა და უნარები, რათა არსებული სირთულეები ნაკლებად ასახულიყო გადასახადის გადამხდელებზე. შევძელით საერთაშორისო სანქციების მკაცრი აღსრულება, ამავე დროს, შევინარჩუნეთ საბაჟო ფორმალობების სიმარტივე. გადასახადის გადამხდელებისა და საზოგადოებისთვის დროული და ზუსტი ინფორმაციის მიწოდება ჩვენი პრიორიტეტია, რომლის მეშვეობითაც, ვინარჩუნებთ პროგნოზირებად ბიზნესგარემოს და ვამარტივებთ საგადასახადო და საბაჟო ვალდებულებების შესრულებას.

ციფრული ეკონომიკის მზარდი მასშტაბი და ეკონომიკური საქმიანობის გლობალიზაცია ჩვენგან მოითხოვს უფრო მეტ ინოვაციას, საერთაშორისო თანამშრომლობის უფრო ეფექტიანად გამოყენებას და სწრაფ ციფრულ ტრანსფორმაციას. აღნიშნულიდან გამომდინარე, როგორც განვითარებაზე ორიენტირებული ორგანიზაცია, არასდროს ვკმაყოფილდებით მიღწეული შედეგებით და მუდმივად ვთანამშრომლობთ ორმხრივ თუ მრავალმხრივ დონეზე, რათა მაქსიმალურად მეტი ვისწავლოთ, დავნერგოთ და განვავითაროთ.

შემოსავლების სამსახურის თითოეული თანამშრომელი აცნობიერებს სამსახურის სტრატეგიულ მნიშვნელობას ქვეყნის ეკონომიკური და ფისკალური პოლიტიკით განსაზღვრული ამოცანების განხორციელებაში, აგრეთვე, მათი საქმიანობის გავლენას საქართველოს თითოეულ მოქალაქეზე. ჩვენი გუნდის ერთობლივი ძალისხმევისა და გადამხდელებთან თანამშრომლობის შედეგად, წელსაც მნიშვნელოვანი შედეგები იქნა მიღწეული საგადასახადო შემოსავლების მობილიზების პროცესში, რისთვისაც მსურს მადლობა გადავუხადო, როგორც სამსახურის გუნდს თავდაუზოგავი შრომისათვის, ასევე, სხვა საჯარო უწყებებსა და საერთაშორისო პარტნიორებს თანამშრომლობისა და მხარდაჭერისთვის.

მსურს მადლობა გადავუხადო გადასახადის გადამხდელებს ჩვენდამი ნდობისა და მხარდაჭერისთვის. ერთად შევძლებთ, უზრუნველვყოთ ქვეყნის წარმატება და მდგრადი ეკონომიკური განვითარება.

“

შემაჯამებელი მიმოხილვა

მსოფლიოში მიმდინარე გლობალიზაციის ფონზე, საგადასახადო და საბაჟო ადმინისტრირების სწრაფად ცვალებად გარემოსა და საერთაშორისო დღის წესრიგზე მორგების მიზნით, შემოსავლების სამსახურმა 2023 წელს ძირითადი ძალისხმევა მიმართა ადამიანური რესურსების განვითარებაზე, ტექნოლოგიური სიახლეების დანერგვასა და საერთაშორისო გამოცდილების გაზიარებისაკენ. სამსახურში გატარდა რიგი წარმატებული რეფორმები, რომლებიც აისახა საგადასახადო შემოსავლების მობილიზების გაუმჯობესებულ მაჩვენებლებში.

საგადასახადო კანონშესაბამისობის გაუმჯობესების მიზნით, სამსახური იყენებს კანონშესაბამისობის გაუმჯობესების გეგმების შემუშავება/განხორციელების თანამედროვე მიდგომებს, რა დროსაც განსაკუთრებული ყურადღება ექცევა პრევენციული კონტროლის მექანიზმებს. 2023 წელს, მნიშვნელოვანი პროგრესი იქნა მიღწეული კანონშესაბამისობის და საგადასახადო რისკების მართვის გაუმჯობესების მიმართულებით. განხორციელდა „2022-2023 წლების კანონშესაბამისობის გაუმჯობესების გეგმით“ განსაზღვრული საგადასახადო რისკის შემცირების ღონისძიებები და მიღებული გამოცდილების საფუძველზე, შემუშავდა ახალი „2024-2025 წლების კანონშესაბამისობის გაუმჯობესებების გეგმა“.

კანონშესაბამისობის რისკების მართვა სამსახურში მიმართულია გადასახადის გადამხდელის 4 ძირითადი ვალდებულების (რეგისტრაცია, დროული დეკლარირება, დეკლარირების სისწორე და დროული გადახდა) ნებაყოფლობითი შესრულების დონის გაუმჯობესებისკენ. თითოეული მიმართულებისთვის შემუშავებულია კანონშესაბამისობის გაუმჯობესების პროგრამები, რომელთა ეფექტიანი ფუნქციონირება ხელს უწყობს ჯანსაღი და სამართლიანი საგადასახადო გარემოს ჩამოყალიბებას. 2023 წელს, კიდევ უფრო დაიხვეწა აღნიშნული პროგრამები, ამასთან, დროული გადახდის მაჩვენებლის გაუმჯობესების მიზნით, დასკვნით ფაზაში გადავიდა საგადასახადო დავალიანების მართვის რეფორმა.

კანონშესაბამისობის გაუმჯობესების სტრატეგიის უმნიშვნელოვანესი ელემენტია გადასახადების გადამხდელთა ცნობიერების ამაღლება. 2023 წელს ქმედითი ნაბიჯები გადაიდგა გადასახადის გადამხდელებისთვის შეთავაზებული სერვისების ხარისხის გაუმჯობესების მიმართულებით. დისტანციური სერვისების გამარტივებისა და თვითმომსახურების წახალისების მიზნით, რიგი ცვლილებები განხორციელდა. განვითარდა მომხმარებელთან უკუკავშირის სისტემა. საკანონმდებლო ნორმების ერთგვაროვანი განმარტების მიზნით, შემუშავდა მეთოდური მითითებები და სიტუაციური სახელმძღვანელოები.

2023 წელს, კვლავ განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა მსხვილი გადასახადის გადამხდელთა კანონშესაბამისობის მონიტორინგს და მათთვის შეთავაზებული სერვისების სრულყოფას. შემოსავლების მობილიზების გაუმჯობესების მიზნით, სამსახურმა დაიწყო ქცევითი მიდგომების გამოყენება. 2023 წელს, საპილოტე რეჟიმში ამოქმედდა გადასახადის გადამხდელის ქცევის რეიტინგის პროგრამა. ინფორმირებული გადაწყვეტილების მიღებისა და სტრატეგიული დაგეგმვის შესაძლებლობების გასაზრდელად, გაგრძელდა შემოსავლების სამსახურის მონაცემთა საცავის შემდგომი განვითარება, მისი გამდიდრება მესამე მხარეებისგან მიღებული ინფორმაციით. ასევე, მნიშვნელოვანი ძალისხმევა გაიწია მოწინავე ანალიტიკის, ავტომატური ანალიტიკური ანგარიშების წარმოებისა და ვიზუალიზაციის გარემოს (BI) განვითარებასა და თანამშრომელთა შესაბამისი ტექნიკური უნარ-ჩვევების გაძლიერებისათვის.

ქვეყნის სატრანზიტო შესაძლებლობების გამოყენება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული საბაჟო სისტემის ეფექტიანობაზე. ამ მიზნით, სამსახური, უცხოელი პარტნიორების ჩართულობით, კვლავაც აქტიურად მუშაობდა საბაჟო ადმინისტრირების შესაძლებლობების შემდგომ განვითარებასა და საბაჟო სისტემის მოდერნიზაციის მიმართულებით. გაგრძელდა მუშაობა საბაჟო პროცესების ავტომატიზაციის კუთხით. დაინერგა და საპილოტე რეჟიმში ფუნქციონირებს რობოტი მებაჟე ოფიცრის პროექტი. გაძლიერდა საბაჟო კანონმდებლობის დარღვევების გამოვლენის, აღკვეთის და თავიდან აცილების მექანიზმები. საბაჟო რისკების მართვის სისტემის თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, დაინერგა ანალიტიკური პროგრამები, განვითარდა საბაჟო ინფორმაციის წინასწარი გაცვლის სისტემა.

რეგიონში მიმდინარე რთულმა გეოპოლიტიკურმა პროცესებმა სამსახური ახალი გამოწვევების წინაშე დააყენა. 2023 წელს, საერთაშორისო სანქციების აღსრულების მხარდაჭერის ნაწილში, პარტნიორ ქვეყნებთან მუდმივი კოორდინაციით, შემოსავლების სამსახურის მიერ აქტიურად ხორციელდებოდა ინფორმაციის ოპერატიულ რეჟიმში გაცვლა, მკაცრი მონიტორინგი და სანქციებისგან თავის არიდების მიზნით, საქართველოს ტერიტორიის გამოყენების აღკვეთისკენ მიმართული საქმიანობა.

ინსტიტუციური შესაძლებლობის განვითარების და ორგანიზაციული მდგრადობის მიღწევისათვის, დაინერგა და განვითარდა პროექტების მართვის სისტემა. თანამედროვე სტანდარტებთან შესაბამისობაში მოვიდა ინფორმაციული უსაფრთხოების პოლიტიკა. გაგრძელდა მუშაობა ორგანიზაციის უწყებრივი რისკების თანამედროვე სისტემის დანერგვის მიმართულებით.

2023 წელს, განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ადამიანური რესურსების განვითარებას, თანამშრომლების პროფესიული უნარების და შესაძლებლობების ზრდას. ამ მიზნით, შემოსავლების სამსახური მუდმივ რეჟიმში ახორციელებდა მათ გადამზადებას წინასწარ შემუშავებული სწავლების პროგრამების მეშვეობით. ასევე, სამსახურის თანამშრომლები კვალიფიკაციას იმაღლებდნენ საერთაშორისო დონის ღონისძიებებში, ტრენინგებსა და სემინარებში მონაწილეობითა და პარტნიორი ქვეყნების გამოცდილების გაზიარების გზით.

თანამედროვე საგადასახადო ადმინისტრაციების წარმატება წარმოუდგენელია საერთაშორისო თანამშრომლობის გარეშე. ამ მიზნით სამსახური აფართოებს თანამშრომლობის ორმხრივ, მრავალმხრივ ფორმატებსა და ტექნიკური დახმარების არეალს. ქვეყანამ რამდენიმე მაღალი დონის შეხვედრას უმასპინძლა. 2023 წელს, საქართველო პირველად იყო საგადასახადო ადმინისტრაციების შიდა-ევროპული ორგანიზაციის (IOTA) პრეზიდენტი ქვეყანა.

საერთაშორისო თანამშრომლობის მნიშვნელოვანი კომპონენტია ინფორმაციის ურთიერთგაცვლა. 2023 წელს, მუშაობა დაიწყო ქვეყნების მიხედვით ანგარიშგების (CBCR) დანერგვაზე. ამავდროულად, სამსახური აქტიურად იყო ჩართული ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) ეგიდით მიმდინარე ანგარიშგების გაცვლის საერთო სტანდარტის (CRS) დანერგვის პროცესში. ეროვნულ დონეზე დაინერგა და ამოქმედდა ახალი კომპიუტერიზებული სატრანზიტო სისტემა (NCTS).

შემოსავლების სამსახური, როგორც მაღალი სოციალური პასუხისმგებლობის მქონე ორგანიზაცია, 2023 წელსაც აქტიურად იყო ჩართული სხვადასხვა სოციალურ აქტივობაში. კერძო სექტორთან და პარტნიორ ორგანიზაციებთან თანამშრომლობით, მთელი წელი დატვირთული იყო რიგი ღონისძიებებით, რითიც სამსახურმა საკუთარი მოკრძალებული წვლილი შეიტანა საზოგადოების სოციალურ განვითარებაში.

2023 წელს შემოსავლების სამსახურმა კვლავ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ქვეყნის ეკონომიკური სტაბილურობის შენარჩუნებაში.

წინამდებარე ანგარიში მოკლედ მიმოიხილავს სამსახურის მიერ საშუალოვადიანი სტრატეგიის ფარგლებში დაგეგმილი და 2023 წელს განხორციელებული ღონისძიებების, საგადასახადო და საბაჟო სერვისების სრულყოფისა და განვითარების უზრუნველსაყოფად გაწეული ხარჯების და მათი დაფინანსების წყაროების შესახებ ინფორმაციას.

ზოგადი მიმოხილვა
სამსახურის მისია, ხედვა და ღირებულებები

მისია

საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობით დაკისრებული ვალდებულებების შესრულების უზრუნველყოფა ნებაყოფლობითი კანონშესაბამისობის ხელშეწყობით და სამართალდარღვევებზე შესაბამისი რეაგირების ღონისძიებების განხორციელებით.

ხედვა

მომხმარებელზე ორიენტირებული სერვისების მიწოდებით და კანონშესაბამისობის მართვის თანამედროვე მიდგომების გამოყენებით, ვქმნით მაქსიმალურად ხელსაყრელ გარემოს ნებაყოფლობითი კანონშესაბამისობის ასამაღლებლად.

ორგანიზაციის ღირებულებები

ანგარიშვალდებულება

დაინტერესებულ პირთა ჩართულობის და ინფორმაციის საჯაროობის უზრუნველყოფა.

პროფესიონალიზმი

კანონით დაკისრებული ვალდებულებების მაღალი პროფესიული სტანდარტების შესაბამისად შესრულება.

კეთილსინდისიერება

თითოეული თანამშრომლის ქმედება ემყარება პატიოსნების, სამართლიანობის და ანგარიშვალდებულების პრინციპს.

ინოვაციურობა

მოწინავე ტექნოლოგიების გამოყენებით თანამედროვე და ეფექტიანი მიდგომების დანერგვა

შემოსავლის სამსახურის 2021-2024 წლების სტრატეგიული მიზნები

შემოსავლების სამსახურის მიერ შემუშავებულია 2021-2024 წლების სტრატეგია, რაც წარმოადგენს სამსახურის მისიის და ხედვის განსახორციელებლად დასახული მიზნებისა და ამოცანების ერთობლიობას, რომელთა შესრულება გააუმჯობესებს და უფრო ეფექტიანს გახდის საგადასახადო და საბაჟო ადმინისტრირების პროცესს. სტრატეგიის მიხედვით, არსებული გარემო ფაქტორების და გამოწვევების გათვალისწინებით, სამსახურის მიერ განსაზღვრულია სამი სტრატეგიული მიზანი:

აღნიშნული სტრატეგიული მიზნების მისაღწევად, განსაზღვრულია ამოცანები და შესაბამისი აქტივობები, რომელთა განახლება და დამტკიცება ხორციელდება ყოველწლიურად. 2023 წლის სამოქმედო გეგმა და განხორციელებული ღონისძიებები, ძირითადად, მიმართული იყო ზემოაღნიშნული სტრატეგიული მიზნების მისაღწევად. წლის განმავლობაში განხორციელებული აქტივობების დაფინანსების ძირითად წყაროს წარმოადგენდა სამსახურის საკუთარი შემოსავლები, ასევე, აქტივობების გარკვეული ნაწილი, მხარდაჭერილი იყო სახელმწიფო ბიუჯეტის და სხვადასხვა დონორი ორგანიზაციების მიერ.

წინამდებარე ანგარიში მომზადებულია შემოსავლების სამსახურის ანალიტიკური დეპარტამენტის მიერ და მასში წარმოდგენილია 2023 წლის საგადასახადო შემოსავლების ძირითადი მაჩვენებლები, სტრატეგიული მიზნების და ამოცანების მისაღწევად შემოსავლების სამსახურის მიერ განხორციელებული საქმიანობის შედეგები, საგადასახადო და საბაჟო სერვისების სრულყოფისა და განვითარების უზრუნველსაყოფად გაწეული ხარჯების შესახებ ინფორმაცია, მნიშვნელოვანი საკანონმდებლო ცვლილებებისა და სამსახურის სოციალური აქტივობების, ასევე, 2023 წელს განხორციელებული სხვა მნიშვნელოვანი ღონისძიებების შესახებ ინფორმაცია და წლის შემაჯამებელი სტატისტიკური მონაცემები.

შემოსავლების სამსახურის ორგანიზაციული სტრუქტურა

2023 წლის განმავლობაში, სამსახურის ორგანიზაციულ სტრუქტურაში არსებითი ცვლილებები არ განხორციელებულა.

სამსახურის ფუნქციების ეფექტური აღსრულებისთვის, შემოსავლების სამსახურის ორგანიზაციული სტრუქტურა ეფუძნება მსოფლიოს წამყვანი საგადასახადო ადმინისტრაციების პრაქტიკას - ორგანიზაციის სტრუქტურული ერთეულები დაყოფილია ფუნქციური ნიშნით: სათავო და საოპერაციო დეპარტამენტებად. შესაბამისად, ორგანიზაცია იმართება ცენტრალიზებულად, სათავო ოფისის მიერ, ხოლო საოპერაციო აქტივობები დაჯგუფებულია დეპარტამენტებად, ფუნქციების მიხედვით, რომლებიც, თავის მხრივ, განაწილებულია რეგიონებში და მოიცავს ქვეყნის მთელ ტერიტორიას. სათავო ოფისის ფუნქციონირებაში ცენტრალურ როლს იკავებენ ანალიტიკური და მეთოდოლოგიის დეპარტამენტები, ხოლო სათავო ოფისში შემავალი სხვა დეპარტამენტები ასრულებენ მხარდამჭერ ფუნქციას.

ასევე, სამსახურში ფუნქციონირებს სამსახურის უფროსის სათათბირო ორგანო - რისკების მართვის საბჭო, რომელიც განსაზღვრავს შემოსავლების სამსახურის სტრატეგიულ მიზნებთან და ამოცანებთან დაკავშირებულ პრიორიტეტულ სფეროებს და მიმართულებებს. რისკების მართვის საბჭო შეიმუშავებს რეკომენდაციებს, წინადადებებს და იღებს შესაბამის გადაწყვეტილებებს საგადასახადო და საბაჟო პოლიტიკის, სამსახურის სტრატეგიის განსაზღვრის და ამ მიზნით შემუშავებული მიზნობრივი პარამეტრების და სამოქმედო გეგმების თაობაზე, სამსახურში მიმდინარე ან/და განსახორციელებელი პროექტების მართვის პროცესებზე და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე.

გარდა ამისა, სამსახურის შიგნით ფუნქციონირებს თემატური კოლეგიური ორგანოები, რომლებიც მნიშვნელოვან როლს ასრულებენ სხვადასხვა პროცესების ეფექტურად აღსრულებაში, საკითხების განხილვასა და გადაწყვეტაში (ინფორმაციული უსაფრთხოების, დავების განხილვის, წინასწარი გადაწყვეტილებების საბჭოები და სხვა).

***გრაფიკა**: შემოსავლების სამსახურის ორგანიზაციული სტრუქტურა 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:*



საგადასახადო შემოსავლების ძირითადი მაჩვენებლები

2023 წლის განმავლობაში საქართველოს ნაერთ ბიუჯეტში გადასახადების სახით მიღებულმა შემოსავლებმა შეადგინა 19 732 619 755 ₾. რაც მნიშვნელოვნად აჭარბებს წლის დასაწყისში არსებულ საპროგნოზო მაჩვენებელს.

საგადასახადო შემოსავლების დინამიკა



საგადასახადო შემოსავლების 55% მობილიზებულია არაპირდაპირი გადასახადების, კერძოდ, დამატებული ღირებულების გადასახადის, აქციზისა და იმპორტის გადასახადების სახით. პირდაპირი გადასახადებიდან ყველაზე დიდი წილი მოდის საშემოსავლო გადასახადზე და შეადგენს 31%-ს. ადგილობრივი გადასახადის (ქონების გადასახადი) წილი მთლიან საგადასახადო შემოსავლებში შეადგენს მხოლოდ 3%-ს.

2023 წლის საგადასახადო შემოსავლები გადასახადის სახეების მიხედვით



წინა წლების დინამიკის მსგავსად, 2023 წელს საქართველოს ნაერთ ბიუჯეტში გადასახადების სახით მობილიზებული თანხებიდან, საქართველოს ტერიტორიაზე მიწოდებულ საქონელთან/გაწეულ მომსახურებასთან დაკავშირებული გადასახადების წილი მნიშვნელოვნად აღემატება იმპორტირებულ პროდუქციაზე გადასახდელების სახით აკრეფილ გადასახადებს (დღგ, აქციზი და იმპორტის გადასახადი).

საქართველოს ნაერთ ბიუჯეტში გადასახადების სახით მიღებული შემოსულობები (მლნ.ლარი)



სახელმწიფო ბიუჯეტში მობილიზებული გადასახადების მოცულობის ზრდასთან ერთად, გაზრდილია ბიუჯეტიდან ზედმეტად გადახდილი გადასახადების დაბრუნების მაჩვენებელი, რაშიც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ზედმეტად გადახდილი დღგ-ის ავტომატურად უკან დაბრუნების პროგრამის განვითარებამ. ავტომატურად უკან დაბრუნების სისტემის ჩამოყალიბებიდან 2023 წლის ბოლომდე, ბიზნესს 7,5 მილიარდ ლარზე მეტი დაუბრუნდა, აქედან 2023 წელს გადამხდელებისთვის დაბრუნებულმა თანხამ შეადგინა 2,331,556,786 ლარი.[1]





2023 წელს ზედმეტად გადახდილი გადასახადის უკან დაბრუნებით ისარგებლა 48,510 გადამხდელმა, ამასთან, დაბრუნებული თანხების 96%-ზე მეტი დაბრუნდა ზედმეტად გადახდილი დღგ-ის ავტომატურად უკან დაბრუნების პროგრამის ფარგლებში.

1 საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ შემუშავებული საგადასახადო ადმინისტრაციის დიაგნოსტიკური შეფასების ინსტრუმენტის (TADAT) მიხედვით, დღგ-ის დაბრუნებაზე (ან გამოყენებაზე) დახარჯული დროის საუკეთესო სტანდარტი („A" ქულა) შეესაბამება შემთხვევებს, როდესაც დღგ-ის დეკლარირებით წარმოქმნილი ზედმეტობის დაბრუნება ან არსებული დავალიანების დასაფარად გამოყენება ხორციელდება დეკლარირებიდან 30 კალენდარული დღის განმავლობაში, წარმოდგენილი მოთხოვნების არანაკლებ 90%-ში. ასევე მხედველობაში მიიღება დღგ-ის ზედმეტობის დაბრუნებაზე უარის თქმის კანონმდებლობით დადგენილი ფაქტობრივი საფუძვლები

ასევე აღსანიშნავია, რომ 2023 წელს ტურისტების ნაკადის ზრდასთან ერთად, მნიშვნელოვნად გაიზარდა უცხო ქვეყნის მოქალაქეთა მიერ საქართველოში შეძენილ საქონელზე გადახდილი დღგ-ის უკან დაბრუნების სერვისით (Tax Free) სარგებლობის მაჩვენებელი, კერძოდ, აღნიშნული სერვისით წლის განმავლობაში ისარგებლა 85 154 უცხოელმა, რაც 63%-ით მეტია წინა წლის მაჩვენებელზე, ხოლო სერვისის ფარგლებში უკან დაბრუნებულმა დღგ-ის თანხამ ჯამში შეადგინა 52 508 149 ლარი, რაც 138%-ით აღემატება წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს.





2023 წელს, ზრდის ტენდენციით ხასიათდებოდა როგორც იმპორტი, ასევე ექსპორტი/რეექსპორტი. წინა წელთან შედარებით, 14%-ით გაიზარდა საქართველოს საბაჟო საზღვარზე გადაადგილებული სატვირთო სატრანსპორტო საშუალებების რაოდენობა და შეადგინა 1 763 518 ერთეული. მნიშვნელოვნად არის გაზრდილი საფოსტო გზავნილების რაოდენობაც: 2023 წელს საფოსტო გზავნილების რაოდენობამ შეადგინა 11,3 მილიონი, რაც 46%-ით მეტია წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე.



სტრატეგიული მიზანი I

საგადასახადო და საბაჟო ვალდებულებების შესრულებასთან დაკავშირებული კანონშესაბამისობის ამაღლება

საგადასახადო სერვისების განვითარება

2023 წელს, შემოსავლების სამსახურში, სერვისების განვითარების პროგრამის ფარგლებში, გაგრძელდა მუშაობა ე.წ FACE TO FACE სერვისებთან, ელექტრონული სერვისების უპირატესი საფასო და დროითი პოლიტიკის შემუშავების, დისტანციური სერვისების გამარტივებისა და თვითმომსახურების წახალისების მიმართულებით. განხორციელდა სერვისების 40%-ის ინვენტარიზაცია. იდენტიფიცირებული ნაკლოვანებების და გადასახადის გადამხდელთა კმაყოფილების კვლევის შედეგების გათვალისწინებით, ხელახლა დაიგეგმა სერვისები, შეიქმნა სერვისების ბიზნეს პროცესების ახალი მოდელები (BPM), დამუშავდა მომსახურების გაწევის ახალი დისტანციური სერვისების შეთავაზების შესაძლებლობები. აღნიშნული პროცესების უზრუნველსაყოფად, განხორციელდა შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებები, რის შედეგადაც, 2023 წლის თებერვლიდან, 38 ყველაზე მოთხოვნად სერვისზე, განახლებული საფასური ამოქმედდა.

შემოსავლების სამსახურის მიერ გაწეულ მომსახურებაში დაინერგა ხელოვნური ინტელექტი, კერძოდ, სახის ამოცნობის სერვისი (FACE RECOGNITOIN) აღნიშნული საშუალებას იძლევა მომსახურება უწყვეტ რეჟიმში განხორციელდეს.

საქართველოს მოქალაქეობის არმქონე პირების ადგილზე რეგისტრაციის პროცესის ოპტიმიზაციის შედეგად, სრულად ავტომატიზებული და ელექტრონული გახდა აღნიშნულ საკითხზე განცხადების რეგისტრაცია. ავტომატიზებული გახდა, ასევე, ფიზიკური პირების მიერ საკუთარი შემოსავლების შესახებ ცნობის მოთხოვნის პროცესი.

დასრულდა ფიქსირებული გადასახადის გადამხდელის სტატუსთან დაკავშირებული შვიდი სერვისის ავტომატიზება და ოპტიმიზაცია.

ელექტრონულ განცხადებებში დისტანციურად სარგებლობის მაჩვენებელი



საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრის მიერ გაწეული მომსახურების ხარისხის გასაუმჯობესებლად და ზარების/სესიების განტვირთვის მიზნით, 2023 წელს, შემოსავლების სამსახურმა განაახლა სატელეფონო სისტემა და შეიძინა RS-ჩათის ახალი, მრავალფუნქციური პროგრამა. ამასთან, დაინერგა სამუშაო ძალის განაწილების ახალი პრინციპი და შემუშავდა ოპტიმალური სამუშაო გრაფიკი, რომლის დანერგვის შემდგომაც, შემცირდა უპასუხო ზარების რაოდენობა, განმეორებით დაკავშირების მაჩვენებელი და გადამხდელის მოლოდინის დრო.



სერვისების განვითარებისა და გამარტივების თანმდევი პროცესია საზოგადოებაში ელექტრონული სერვისების უპირატესობის და სანდოობის გაზრდა. აღნიშნულმა ფაქტორებმა 2023 წელს გააჩინა შესაძლებლობა, შემოსავლების სამსახურს კიდევ ერთით შეემცირებინა სერვისცენტრების რაოდენობა.



საბაჟო სერვისების განვითარება

2023 წელს საბაჟო სერვისების მიმართულებით დისტანციური სერვისების გამარტივებისა და თვითმომსახურების წახალისების მიზნით, განხორციელდა რიგი ცვლილებები:

- საბაჟო განცხადებების განხილვის პროცესში, ელექტრონულ განცხადებებს მიენიჭა პრიორიტეტი;
- გადამხდელებს მიეცათ შესაძლებლობა RS ავტორიზებული მომხმარებლის გვერდის გამოყენებით, თავად გაცნობოდნენ ინფორმაციას ყვითელ დერეფანში გადასახდელების გადახდის კრიტერიუმით შერჩეული დეკლარაციების შესახებ;
- დასრულდა შემოსავლების სამსახურის ვებგვერდზე არსებული საძიებო სერვისის („ტვირთისა და სატრანსპორტო საშუალების ძებნა“) სრული ოპტიმიზაცია.

2023 წელს საბაჟო სერვისების განვითარების კუთხით განხორციელებული ღონისძიებები:



საბაჟო საწყობში არსებული ნაშთების შესახებ ინფორმაციის მატერიალურად წარმოდგენის სრულად შეზღუდვის და გაელექტრონულების მიზნით, განხორციელდა სერვისის ხელახალი დაგეგმვა, რის შედეგადაც, სერვისის მიწოდება ხდება ელექტრონულად, ავტომატურად დადასტურებადი („ავტომატური+“) განცხადების მეშვეობით.

შემუშავდა ახალი საფასო პოლიტიკა, რომლის ფარგლებშიც, განხორციელდა შემდეგი ცვლილებები:

- წინასწარი დეკლარირებისა და თვითმომსახურების წახალისების მიზნით, შეიცვალა საბაჟო პროცედურებში საქონლის გაფორმების მომსახურების საფასურები;
- ელექტრონულად არასამუშაო საათებში მომართვის შემთხვევაში, არსებული ორმაგი ტარიფის ნაცვლად, შემოღებულ იქნა ერთმაგი ტარიფი;
- კატალიზატორებისა და მისი შემადგენელი ნაწილების ექსპორტზე დაწესდა საფასური.

2023 წელს გაფორმდა 402 083 საქონლის საბაჟო დეკლარაცია, მათ შორის: 294 463 - თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების (იმპორტი) პროცედურაში, ხოლო 67 836 - ექსპორტის პროცედურაში. აღსანიშნავია, რომ წინა წლის მაჩვენებლებთან შედარებით, ჯამურად, საქონლის საბაჟო დეკლარაციების რაოდენობა გაიზარდა 8%-ით, მათ შორის, თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების პროცედურაში - 11%-ით, საიდანაც წინასწარ დაბეჭდილი საბაჟო დეკლარაციების რაოდენობა გაზრდილია 20 %-ით.





წარმატებით გაგრძელდა და უფრო გაფართოვდა „ციფრული საბაჟოს“ კონცეფციისა და მომსახურების დისტანციური არხების განვითარების ფარგლებში განხორციელებული პროექტი - ელექტრონული გაფორმების ეკონომიკური ზონა „e-გეზი“.

„e-გეზი“ დაინტერესებულ პირებს შესაძლებლობას აძლევს, გაფორმების ეკონომიკურ ზონაში მისვლის გარეშე, შემოსავლების სამსახურის ვებგვერდზე - www.rs.ge შესაბამისი დოკუმენტაციის ატვირთვით, ელექტრონულად განახორციელონ ტვირთის გაფორმების პროცედურები. ამასთან, თვითმომსახურებისა და ელექტრონული სერვისების გამოყენების წახალისების მიზნით, მონაცემთა ავტომატიზებულ სისტემა „eCustoms“-ში დაშვებული პირების მიერ, საბაჟო დეკლარაციით გაცხადებული საქონლის გაფორმებისათვის მომსახურების უპირატესი/შეღავათიანი საფასურებია დადგენილი.

„e-გეზით“ სარგებლობის მაჩვენებელი 2023 წელს მუდმივად მზარდი დინამიკით ხასიათდებოდა. გასულ წელს დეკლარაციების 32%-ი გაფორმდა „e-გეზი“-ის მებაჟე ოფიცრების მიერ, ამასთან, წინასწარი სასაქონლო საბაჟო დეკლარაციების 70%-ზე მეტი გაფორმებულია „e-გეზში“, რაც საკმაოდ მაღალი მაჩვენებელია და მომსახურების სწრაფად და მარტივად მიღების შესაძლებლობაზე მეტყველებს. „e-გეზი“-ის კონცეფცია მნიშვნელოვნად ამცირებს გადასახადის გადამხდელთა დროს, ფინანსებს და რაც ყველაზე მთავარია, ახდენს მომხმარებელთა რიგების განტვირთვას საქართველოს მასშტაბით არსებულ სხვა გაფორმების ეკონომიკურ ზონებში.

ელექტრონული სერვისების ავტორიზებული გვერდის განახლება

შემოსავლების სამსახურის ელექტრონული სერვისების პირადი გვერდის გამოყენების გამარტივებისა და მომხმარებელთა შეცვლილ საჭიროებებზე მორგების მიზნით, ელექტრონული სერვისების ავტორიზებული გვერდის სტრუქტურისა და დიზაინის ცვლილების პროექტის ფარგლებში, განხორციელდა კვლევა, რომელშიც აქტიურად მონაწილეობდნენ სერვისის მომხმარებლები. მომზადდა ავტორიზებული მომხმარებლის მთავარი გვერდის განახლებული კონცეფცია და დიზაინი.

უკუკავშირის სისტემის განვითარება

დაინტერესებულ პირთა საჭიროებებზე მორგებული სერვისების განვითარების პროცესში, მომხმარებელთა ჩართულობის უზრუნველყოფისა და მომსახურების ხარისხის კონტროლის მიზნით, კიდევ უფრო გაფართოვდა უკუკავშირის სისტემა. 2023 წელს, შემოსავლების სამსახურში არსებულ უკუკავშირის სისტემას დაემატა აუდიტის დეპარტამენტი და გაფორმების ეკონომიკური ზონები. შედეგად, მომხმარებლებს აქვთ შესაძლებლობა, უკუკავშირის აღნიშნული მოდულებით ისარგებლონ.

შემოსავლების სამსახურსა და უცხო ქვეყნის მოქალაქეობის მქონე პირთა ურთიერთობა

2023 წლის მარტიდან, საქართველოს მოქალაქეობის არმქონე პირებს შესაძლებლობა მიეცათ, დისტანციურად, ვიდეოზარის გამოყენებით (videocall.rs.ge) დარეგისტრირდნენ გადასახადის გადამხდელ ფიზიკურ პირებად.

საქართველოს მოქალაქეობის არმქონე და ორმაგი მოქალაქეობის მქონე პირთა საგადასახადო რეგისტრაციის და საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში თანხის გადახდის პროცედურების გაუმჯობესების მიზნით, შემოსავლების სამსახურში მიმდინარეობს ერთიანი რეესტრის შექმნის პროექტი. პროექტის განხორციელებაში აქტიურად მონაწილეობს სხვადასხვა სახელმწიფო უწყება. 2023 წელს პროცესში კომერციული ბანკები ჩაერთნენ. მათი მონაწილეობით შემუშავდა ერთიან სახაზინო კოდზე გადახდების გაუმჯობესების ახალი ხედვა, რომლის განხორციელებაც ხელს შეუწყობს, არარეზიდენტი პირების მიერ, ერთიან სახაზინო კოდზე გადახდის არსებული პროცესის გამარტივებას.

საინფორმაციო და მეთოდოლოგიური ჰაბი - INFOHUB.RS.GE

დაინტერესებულ პირთათვის ინფორმაციის კიდევ უფრო ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით, 2023 წელს ამოქმედდა შემოსავლების სამსახურის ელექტრონული საინფორმაციო პორტალი - infohub.rs.ge, რომელიც წარმოადგენს ერთიან მიდგომაზე დაფუძნებულ ელექტრონულ საინფორმაციო ბაზას. პორტალზე განთავსებულია საგადასახადო და საბაჟო საკითხებთან დაკავშირებული მუდმივად განახლებადი ინფორმაცია/დოკუმენტაცია, მათ შორის: საკანონმდებლო აქტები, საერთაშორისო ხელშეკრულებები, კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები და მეთოდური მითითებები. პროექტის ამოქმედების შედეგად, მნიშვნელოვნად გაიზარდა მომხმარებლისთვის ინფორმაციის ხელმისაწვდომობა, გამარტივდა თავად ინფორმაციის მიღების პროცესიც.

2023 წელს, Infohub.rs.ge-ით მოსარგებლეთა რაოდენობა დინამიკაში მუდმივად მზარდი იყო და ერთ მილიონს გადააჭარბა.

აღსანიშნავია, რომ ციფრული ჰაბის შექმნის პროექტის ექსპერტული მხარდაჭერა ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) ეკონომიკური მმართველობის პროგრამის ფარგლებში განხორციელდა, ხოლო ტექნიკური უზრუნველყოფის პროცესი ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD) მხარდაჭერით მიმდინარეობდა. პროექტი 2021 წლიდან დაიწყო და მასში საჯარო და კერძო სექტორი აქტიურად იყო ჩართული.

მოქმედ და პოტენციურ გადასახადის გადამხდელთა ცნობიერების დონის ამაღლება

მოქმედ და პოტენციურ გადასახადის გადამხდელთა ცნობიერების დონის ამაღლების მიზნით, 2023 წელს შემოსავლების სამსახური აქტიურად მუშაობდა შემდეგი მიმართულებებით:

- მიზნობრივ ჯგუფებთან სისტემატიზებული ხასიათის შეხვედრების გამართვა;
- მიზნობრივი ჯგუფების თემატური ინფორმირების ღონისძიების დანერგვა;
- საკანონმდებლო და პროცედურულ სიახლეებთან დაკავშირებით გადასახადის გადამხდელთა დროული ინფორმირების სისტემატიზებული ხასიათის ღონისძიებების შემუშავება და დანერგვა.

განისაზღვრა შეხვედრების ორგანიზების და ჩატარების წესი, შედგა შეხვედრების წლიური კალენდარი. შემუშავდა შემოსავლების სამსახურის ვებგვერდზე განსათავსებელი ჩანართი - „შეხვედრების სივრცის“ სტრუქტურა, რომელიც 2024 წელს დასრულდება.

კანონთან შესაბამისობის სფეროში არსებული საგადასახადო რისკების მართვის პროცესის გაძლიერება

2023 წელს შემოსავლების სამსახურში მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა კანონშესაბამისობის ამაღლებისა და საგადასახადო რისკების მართვის გაძლიერების მიმართულებით. სამსახურის სტრატეგიის მიხედვით, შედგენილი იქნა „2024-2025 წლების კანონშესაბამისობის გაუმჯობესების გეგმა“, სადაც განსაზღვრულია ის პრიორიტეტული მიმართულებები, ღონისძიებები და ქმედებები, რომელსაც სამსახური მომდევნო წლებში ფუნდამენტური საგადასახადო ვალდებულებების (რეგისტრაცია, დროული დეკლარირება, დეკლარირების სისწორე და დროული გადახდა) შესრულების მიმართულებით განახორციელებს. გეგმა უზრუნველყოფს საგადასახადო ვალდებულებების შესრულებასთან დაკავშირებულ კანონშესაბამისობის დონის ამაღლებას და ჯანსაღი საგადასახადო გარემოს შექმნას.

დამატებით აღსანიშნავია, რომ 2024-2025 წლების კანონშესაბამისობის გაუმჯობესების გეგმის პრიორიტეტული მიმართულებები ეფუძნება საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკას და შემუშავებულია როგორც დარგის, ასევე, გადასახადის და გადამხდელის სიდიდის ჭრილში.

ნებაყოფლობითი კანონშესაბამისობის ხელშეწყობის მიზნით, საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკების გათვალისწინებით, 2023 წელს გატარდა მთელი რიგი საგადასახადო რისკის შემცირების ღონისძიებები, რომელიც ეფუძნებოდა „2022-2023 წლების კანონშესაბამისობის გაუმჯობესების გეგმით“ განსაზღვრულ პრიორიტეტულ მიმართულებებს. თითოეული მიმართულება მხარდაჭერილია შესაბამისი სამართლებრივი ჩარჩოთი, რისკზე რეაგირების გეგმით და რისკის შემცირების ღონისძიებებით. კანონშესაბამისობის გაუმჯობესების გეგმა, ასევე, ითვალისწინებს მსხვილი კატეგორიის გადამხდელთა კანონშესაბამისობის რისკის შემცირების ღონისძიებებსაც.

განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო პრევენციული ხასიათის ღონისძიებებს - შესაძლო სამართალდარღვევათა თავიდან არიდების მიზნით გადასახადის გადამხდელთა ადრეულ ეტაპზე ინფორმირების მიმართულებით.

კანონშესაბამისობის პროგრამები

კანონშესაბამისობის დონის ამაღლების ღონისძიებათა ფარგლებში, საგადასახადო კონტროლის ტრადიციულ ღონისძიებებთან ერთად, როგორიცაა საგადასახადო შემოწმება და მიმდინარე კონტროლის ღონისძიებები, შემოსავლების სამსახურში დანერგილია და მუდმივად განახლება-დახვეწის პროცესშია კანონშესაბამისობის შემდეგი პროგრამები:

არარეგისტრირებულ პირთა გამოვლენის პროგრამა

01 **მიზანი:** ეკონომიკური საქმიანობის განმახორციელებელი პირების შესახებ სარეგისტრაციო მონაცემების ბაზაში დროული და სრული ასახვა.

მოსალოდნელი დეკლარაციების განსაზღვრა და სავარაუდო დარიცხვა

02 **მიზანი:** გადასახადების მიხედვით, გადასახადის გადამხდელთა მიერ წარმოსადგენი დეკლარაციების განსაზღვრა და დროული დეკლარირების უზრუნველყოფა.

დეკლარაციის სისწორის კონტროლის პროგრამები

03 **მიზანი:** გადამხდელის მიერ წარმოდგენილ დეკლარაციებში რისკის დონის რეალურ დროში შეფასება, გადამხდელის ინფორმირება და ნებაყოფლობითი კანონშესაბამისობის დონის ამაღლება.

მონაცემთა ხარისხის კონტროლის პროგრამა

04 **მიზანი:** შემოსავლების სამსახურის მონაცემთა ბაზაში გადასახადის გადამხდელთა შესახებ მონაცემების სისწორის და სისრულის უზრუნველყოფა.

დასაბეგრი საგადასახადო დოკუმენტების მართვის პროგრამა

05 **მიზანი:** გამოწერილი და დაუბეგრავი საგადასახადო დოკუმენტების რეალურ დროში შეფასება და დინამიკაში დაუბეგრავი დოკუმენტების რაოდენობის შემცირება.

დაქირავებულ პირთა რეესტრი

06 **მიზანი:** დაქირავებულ პირთა შესახებ დამქირავებლების მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის სისწორის კონტროლს.

საგადასახდო დავალიანების მართვა

07 **მიზანი:** საგადასახადო დავალიანების დაგროვების პრევენცია და ეფექტურად ამოღების უზრუნველყოფა.

მარაგების მართვის პროგრამა

08 **მიზანი:** გადამხდელის სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების დონის რეალურ დროში შეფასება და კონტროლი, გადამხდელის ადრეულ ეტაპზე ინფორმირება მარაგების დონის და სავარაუდო დანაკლისის რისკების შესახებ, ვაჭრობის დარგში დაუდეკლარირებელი დანაკლისის შემცირება

2023 წელს, ნებაყოფლობითი კანონშესაბამისობის ამაღლების მიმართულებით, შემოსავლების სამსახურში მოქმედი კანონშესაბამისობის პროგრამების ფარგლებში, განხორციელდა:



კანონშესაბამისობის ზემოაღნიშნული პროგრამები, რისკზე დაფუძნებული მიდგომებით, აფასებს გადასახადის გადამხდელთა მხრიდან შესაძლო საგადასახადო სამართალდარღვევებისა და კანონშეუსაბამო ქცევების რისკებს და მათი თავიდან აცილების უზრუნველსაყოფად, ახორციელებს პრევენციული ხასიათის ღონისძიებებს გადამხდელთა ადრეულ ეტაპზე ინფორმირების სახით, რაც მნიშვნელოვან დახმარებას უწევს მათ სათანადოდ და სრულყოფილად შეასრულონ ძირითადი საგადასახადო ვალდებულებები (რეგისტრაცია, დროული დეკლარირება, დეკლარირების სისწორე და დროული გადახდა).

კანონშესაბამისობის პროგრამების ეფექტური მუშაობის შედეგად, 2023 წელს გაუმჯობესდა გადასახადის გადამხდელთა კანონმორჩილების დონე, რამაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა საგადასახადო შემოსავლების ზრდაში.





ზემოაღნიშნული პროცესების სრულყოფილად ფუნქციონირებისთვის, 2023 წელს განსაკუთრებული სამუშაოები ჩატარდა შემდეგი მიმართულებებით:

- განახლდა შემოსავლების სამსახურში არსებული მონაცემთა საცავი (Data Warehouse) გარე წყაროებიდან მიღებული ახალი ინფორმაციების ინტეგრირებით;
- დაიხვეწა და განვითარდა დეკლარაციების სისწორის ავტომატური კონტროლის პროგრამები;
- გაფართოვდა და გაუმჯობესდა მსხვილ გადასახადის გადამხდელთა ოფისის სერვისის ინსტრუმენტები;
- გადაიდგა მნიშვნელოვანი ნაბიჯები საქართველოს ტერიტორიაზე ხე-ტყის მოძრაობის და ნაშთების აღრიცხვის პროცესის მოწესრიგების მიმართულებით.

ძირითად გადასახადებში დეკლარაციების სისწორის კონტროლის პროგრამა

დეკლარაციების სისწორის კონტროლის პროგრამების ფარგლებში, ყოველთვიური მოგების და გადახდის წყაროსთან დაკავებული გადასახადების დეკლარაციის სისწორის კონტროლის პროგრამისათვის, დაინერგა საქმეების მართვის სრულად ელექტრონული სისტემა.

2023 წელს, შესწავლილი იქნა გადასახადის გადამხდელების მიერ წარმოდგენილი გადახდის წყაროსთან დაკავებული გადასახადის, ყოველთვიური მოგების და დამატებული ღირებულების გადასახადის 26 845 დეკლარაცია.

დეკლარაციების კონტროლის განხორციელების შედეგად, გადასახადის გადამხდელების მიერ ნებაყოფლობით დაზუსტებულმა (დამატებით დარიცხულმა) გადასახადის თანხამ 95 მილიონი ლარი შეადგინა.



სავარაუდო დარიცხვის მექანიზმის გაფართოება

სავარაუდო დარიცხვა გულისხმობს შემოსავლების სამსახურის მიერ, კონკრეტული საგადასახადო პერიოდისთვის, გადასახადის აღრიცხვასა და ასახვას იმ გადასახადის გადამხდელის პირადი აღრიცხვის ძირითად ბარათზე, რომელსაც კანონმდებლობით დადგენილ ვადაში, შესაბამისი პერიოდის დეკლარაცია არ აქვს წარმოდგენილი.

2023 წელს, სავარაუდო დარიცხვის მექანიზმი ვრცელდებოდა დღგ-ის გადამხდელად რეგისტრირებული გადასახადის გადამხდელების (გარდა ფიზიკური პირების) მიერ წარუდგენელი დღგ-ის გადასახადის დეკლარაციის, მოგების გადასახადის ყოველთვიური დეკლარაციის და გადახდის წყაროსთან დაკავებული გადასახადის დეკლარაციების მიმართ.

სავარაუდო დარიცხვის შემდგომ დეკლარაციების წარუდგენლობა შემცირებულია.

მსხვილი კაჯეგორიის გადასახადის გადამხდელთა ადმინისტრირება

მსხვილ გადასახადის გადამხდელთა ეფექტიანი საგადასახადო ადმინისტრირება და შესაბამისი კატეგორიის გადამხდელებთან ინდივიდუალური და გამჭვირვალე თანამშრომლობის გაძლიერება, კვლავ რჩება შემოსავლების სამსახურის პრიორიტეტულ მიმართულებად. ურთიერთთანამშრომლობაზე დამყარებული კანონშესაბამისობა წარმოადგენს მსხვილ გადასახადის გადამხდელთა ოფისის საქმიანობის ძირითად პრინციპს და გულისხმობს ოფისის მიერ შეთავაზებული სერვისის სახეებისა და ინსტრუმენტების მუდმივ გაფართოებასა და გაუმჯობესებას.

2023 წელს, სამსახური მსხვილ გადასახადის გადამხდელთა ოფისის მეშვეობით, რეგულარულ მომსახურებას უწევდა 202 მსხვილ გადასახადის გადამხდელს. პირად საგადასახადო მენეჯერებსა და მსხვილი ბიზნესის წარმომადგენლებს შორის თანამშრომლობა მიმდინარეობდა აქტიური, ორმხრივი კომუნიკაციის რეჟიმში. გაწეული მომსახურების ფარგლებში, მსხვილ გადასახადის გადამხდელთა ოფისის მიერ დარგობრივ ჭრილში დაიდენტიფიცირდა 30-ზე მეტი პრობლემური საკითხი, განხორციელდა მათი ანალიზი და თემატური მიმოხილვა. მსხვილ გადასახადის გადამხდელთა საგადასახადო რისკების შეფასების პროცესში, განხორციელდა მსხვილ ბიზნესთან დაკავშირებული ეკონომიკური ჯგუფების გათვალისწინებაც.

ჯამურად, მსხვილი გადასახადის გადამხდელებისგან მობილიზებულმა გადასახადების მოცულობამ 2023 წელს შეადგინა 6,9 მილიარდ ლარზე მეტი, რაც მთლიანი საგადასახდო შემოსავლების 33%-ს შეადგენს.

მსხვილ გადამხდელთა ოფისის საქმიანობის პრაქტიკული შედეგების ანალიზის საფუძველზე, განხორციელდა მსხვილი გადასახადის გადამხდელის კატეგორიის განსაზღვრისათვის დადგენილი კრიტერიუმების ზღვრების ოპტიმიზაცია. ასევე შეიცვალა მსხვილი გადასახადის გადამხდელის კატეგორიის მინიჭების/ამოქმედების პერიოდი. კერძოდ, ივლისის თვის ნაცვლად, მსხვილი გადამხდელის კატეგორია გადასახადის გადამხდელს 2 წლის ვადით, პირველი იანვრიდან ენიჭება. აღნიშნული ცვლილებები მიზნად ისახავს ანალიტიკური პროცესების, სამოქმედო გეგმების და გასატარებელი საოპერაციო აქტივობების ოპტიმიზაციას. ასევე, საერთაშორისო სავალუტო ფონდის ტექნიკური დახმარების ფარგლებში მიღებული რეკომენდაციების გათვალისწინებით, მომზადდა მსხვილ გადასახადის გადამხდელთა ადმინისტრირების განახლებული სტრატეგია და სამოქმედო გეგმა.

კანონშეუსაბამობის პრევენციული კონტროლის ღონისძიებების პარალელურად, მსხვილ გადასახადის გადამხდელთა კანონშესაბამისობის ეფექტიანად მართვის მიზნით, 2023 წლის განმავლობაში, ხორციელდებოდა გადამხდელთა კანონშესაბამისობის თანაზომიერი ინტერვენციები. მსხვილ გადასახადის გადამხდელთა ოფისში 2023 წელს შეიქმნა საერთაშორისო კონტროლირებადი ოპერაციების ჯგუფი, რომელიც შესაბამისი ტრანზაქციების განხორციელების საწყის პერიოდში ერთვება მსხვილ გადასახადის გადამხდელთა რისკების შეფასების/მიმოხილვის პროცესში. 2023 წელს, აღნიშნული მიმართულებით, განხორციელდა საერთაშორისო კონტროლირებადი ოპერაციების შეფასების შესახებ წინასწარი შეთანხმებები (APA), მომდევნო პერიოდებზე კონტროლირებული ოპერაციების ფასების განსაზღვრასთან დაკავშირებით.

მსხვილ გადასახადის გადამხდელთა ძირითადი საგადასახადო მონაცემების უწყვეტი მონიტორინგი ხორციელდება ავტომატიზებული ანგარიშგების სისტემის (BI) გარემოში. პარალელურად, მიმდინარეობს მუშაობა მსხვილ გადასახადის გადამხდელებთან ასოცირებული საგადასახადო რისკების ინდიკატორების გაანგარიშების პროცესის სრულ ავტომატიზაციაზე.

მსხვილ გადასახადის გადამხდელთა ოფისის საქმიანობის სისტემატიზაციის მიზნით, ინიცირებულია საქმისწარმოების ელექტრონული სისტემის იმპლემენტაციის პროცესი. მოცემულ ეტაპზე, შემუშავებულია სისტემის პროგრამული უზრუნველყოფისთვის საჭირო შესაბამისი მოთხოვნები და მიმდინარეობს შესაბამისი ტექნიკური უზრუნველყოფის ღონისძიებები. ასევე აღსანიშნავია, რომ დაიდენტიფიცირდა მსხვილ გადამხდელთა ოფისის თანამშრომელთა პროფესიულ განვითარებაზე ორიენტირებული საჭიროებები, რის საფუძველზეც, დაიგეგმა შესაბამისი უნარების განვითარების ღონისძიებები.

ქცევითი მიდგომების დანერგვა შემოსავლების მობილიზების გაუმჯობესებისათვის

მსოფლიო ბანკის (WB) მხარდაჭერით, შემოსავლების სამსახური აგრძელებს ქცევითი მიდგომების დანერგვას სამსახურის საქმიანობის სხვადასხვა მიმართულებით. ტექნიკური დახმარების ფარგლებში, მიმდინარეობს პროექტი „საგადასახადო კანონმორჩილების ამაღლება ქცევითი მიგნებების გამოყენებით“, რომლის ფარგლებშიც, 2023 წელს განხორციელდა აქტივობა, რომელიც გულისხმობს გადასახადის გადამხდელთა

ქცევის შესწავლას და მათზე გარკვეული ღონისძიებებით (კომუნიკაცია, შეტყობინებები და სხვ.) ზემოქმედებას კანონშესაბამისობის დონის ასამაღლებლად.

მოსალოდნელი დეკლარაციების განსაზღვრის პროგრამაში, არსებული კომუნიკაციის ეფექტურობის შესაფასებლად, პირველ ეტაპზე, შემთხვევითობის პრინციპით შერჩეულ გადამხდელებთან დაიგზავნა განსხვავებული რაოდენობის შეტყობინებები, ხოლო მეორე ეტაპზე განხორციელდა შეტყობინების შინაარსის ცვლილება (ფორმალური, არაფორმალური, მკაცრი და სხვა).

მსოფლიო ბანკის ექსპერტების მიერ განხორციელდა ჩატარებული ექსპერიმენტის შედეგების შეფასება (ანგარიშის წარდგენა), რის საფუძველზეც დაიგეგმა პროექტის შემდგომი ეტაპები, კერძოდ: მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე გადამხდელებთან, ქცევითი მიდგომის გამოყენებით, დღგ-ის გადამხდელად ნებაყოფლობითი რეგისტრაციის ხელშეწყობა, მოსალოდნელი დეკლარაციების განსაზღვრის პროგრამის ფარგლებში შერჩეულ გადასახადის გადამხდელებთან სატელეფონო კომუნიკაციის განხორციელება და ზარის ეფექტურობის შეფასება. პროექტი მიზნად ისახავს, მომხმარებელზე ორიენტირებული სერვისების მიწოდებით და თანამედროვე მიდგომების გამოყენებით, ნებაყოფლობითი კანონშესაბამისობის ხელშეწყობას.

გადასახადის გადამხდელის ქცევის რეიტინგი

2023 წლის ნოემბრიდან, გადასახადის გადამხდელის პროექტი „ქცევის რეიტინგი“ საპილოტე რეჟიმში ამოქმედდა. პროექტის ფარგლებში, ქცევითი მიდგომების გამოყენებით, გადამხდელთა ქცევის შესწავლის საფუძველზე, ფასდება გადასახადის გადამხდელთა ზოგადი საგადასახადო ვალდებულებების შესრულება, მათ მიერ განხორციელებულ ფაქტობრივ ქმედებაზე ან უმოქმედობაზე დაყრდნობით. ქცევის რეიტინგის დანერგვის იდეა ეფუძნება ურთიერთთანამშრომლობასა და ნდობაზე დამყარებული კანონშესაბამისი საგადასახადო ქცევის გაუმჯობესებას.

გადასახადის გადამხდელებისათვის ქცევის რეიტინგი ინსტრუმენტია, რომელიც მათ შეუძლიათ გამოიყენონ პარტნიორებთან ურთიერთობაში მათი რეპუტაციისა და ზოგადი საგადასახადო ვალდებულებების კეთილსინდისიერად შესრულების წარმოსაჩენად.

შემოსავლების სამსახური ქცევის რეიტინგის პროექტში, გადასახადის გადამხდელთა ზოგადი საგადასახადო ვალდებულებების შესრულების შეფასებისას, ინდიკატორებად იყენებს საქართველოს საგადასახადო კოდექსით განსაზღვრულ, კანონშესაბამისობის ძირითად პრინციპებს: საგადასახადო რეგისტრაციას, დროულ დეკლარირებას, დეკლარირებული ინფორმაციის სისწორეს და ბიუჯეტთან დროულ ანგარიშსწორებას. გადამხდელის ქცევა ფასდება ქულების პრინციპით. შეფასების დაწყებისას გადასახადის გადამხდელს ენიჭება მაქსიმალური ქულა, რომელიც მცირდება ქცევის რეიტინგზე უარყოფითად მოქმედი ფაქტორების (კრიტერიუმების) შესაბამისად, რომელთა გაცნობა შესაძლებელია მოდულის დეტალური ინფორმაციის ჩანართში შესაბამისი ინდიკატორის არჩევის გზით.

პროექტის ფარგლებში, ნებაყოფლობითი კანონმორჩილების წახალისების უზრუნველსაყოფად, დაგეგმილია გადამხდელებისათვის, ფაქტობრივი კანონშეუსაბამობების ინდიკატორების გაფართოებასთან ერთად, შეფასებითი რისკ-ფაქტორების ინდიკატორების ეტაპობრივად დამატება.

პროექტი ითვალისწინებს, გადასახადის გადამხდელის მიერ, საკუთარი რეიტინგის სხვა გადამხდელისთვის გაზიარების ან/და საჯაროდ გამოქვეყნების შესაძლებლობას. ქცევის რეიტინგის მოდულში გადასახადის გადამხდელების რაოდენობის ზრდა დაგეგმილია ეტაპობრივად, სამიზნე პოპულაციის მიღწევამდე.

შემოსავლების სამსახურის მონაცემთა საცავის (DATA WAREHOUSE) განვითარება

თანამედროვე გამოწვევებზე საპასუხოდ, ინფორმირებული გადაწყვეტილების მიღებისა და სტრატეგიული დაგეგმვის შესაძლებლობების გაზრდის, რისკების სათანადოდ იდენტიფიცირებისა და მართვისათვის, შემოსავლების სამსახური მნიშვნელოვან რესურსს ხარჯავს გამართული, ყოვლისმომცველი და სწრაფი მონაცემთა ბაზების შექმნისა და განვითარებისათვის.

2023 წელს გრძელდებოდა სხვადასხვა მონაცემთა წყაროების კონსოლიდაცია, შემოსავლების სამსახურის ანალიტიკურ დეპარტამენტში არსებულ მონაცემთა საცავში. წლის განმავლობაში, დამატებულ ახალ წყაროებს შორის ყველაზე მნიშვნელოვანია ინფორმაცია საბანკო ტერმინალების გამოყენებით განხორციელებული ტრანზაქციების შესახებ, რაც მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს, როგორც საგადასახადო რისკების ანალიზს, ასევე შემოსავლების სამსახურის შესაბამის ელექტრონულ სერვისებს.

2023 წელს, მონაცემთა საცავში არსებული მოდულებისა და პროცესების სისტემატიური მხარდაჭერის პარალელურად, მუდმივ რეჟიმში ხორციელდებოდა:

- გადასახადების ადმინისტრირებისათვის საჭირო მონაცემთა ახალი წყაროების იდენტიფიცირება და შესაბამისი მონაცემების მოპოვება;
- არსებული ინფორმაციის სისრულის, სისწორის, მთლიანობის, სანდოობისა და ხარისხობრივი მდგომარეობის გაუმჯობესება;
- ე.წ. მოწინავე ანალიტიკის შესაძლებლობების განვითარება;
- თანამშრომელთა ტექნიკური უნარ-ჩვევების მუდმივი გაძლიერება.

ავტომაჯური ანალიტიკური ანგარიშების და ვიზუალიზაციის გარემოს (BI) განვითარება

შემოსავლების სამსახური, მსოფლიოს წამყვანი საგადასახადო ადმინისტრაციების მსგავსად, ორიენტირებულია მოწინავე ტექნოლოგიების გამოყენებით თანამედროვე და ეფექტიანი მიდგომების დანერგვაზე. შემოსავლების სამსახური, როგორც ერთ-ერთი ლიდერი სიახლეების დანერგვის კუთხით ავითარებს ავტომატური ანალიტიკური ანგარიშების წარმოების (ე.წ. რეპორტინგის) და ვიზუალიზაციის გარემოს (BI). აღნიშნული ხელსაწყოს საშუალებით შესაძლებელია სხვადასხვა წყაროდან მიღებული დიდი მონაცემების დამუშავება/გაანალიზება და შედეგების ვიზუალიზაცია, ინტერაქტიული საინფორმაციო დაფების (ე.წ. „დეშბორდები“) შექმნა, რომელიც გაზიარებულია და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისათვის, რათა ინფორმაციას ფლობდნენ ოპერატიულად და მიიღონ მონაცემებზე დაფუძნებული გადაწყვეტილებები.

BI ინსტრუმენტის გამოყენებით, მარტივდება მონაცემების შეგროვების და დამუშავების პროცესი, რეპორტების ავტომატიზაცია ფაქტიურად გამორიცხავს მექანიკური შეცდომების ალბათობას, ზოგავს ადამიანურ და დროით რესურსს და ზრდის მონაცემების სანდოობის ხარისხს.

შემოსავლების სამსახურის მონაცემთა საცავი და მის ბაზაზე შემუშავებული რეპორტინგისა და ვიზუალიზაციის გარემო, ემსახურება სხვადასხვა პრიორიტეტულ მიზნობრიობას, რომელთა შორის აღსანიშნავია:

- ☑ ბიუჯეტის საპროგნოზო მაჩვენებლების აღსრულების მიმდინარეობის ანალიზი საგადასახადო შემოსავლების ნაწილში;
- ☑ პრიორიტეტული პროგრამების მიხედვით, საგადასახადო რისკების განმსაზღვრელი ინდიკატორების/კრიტერიუმების ავტომატური გაანგარიშება, აღნიშნულის გათვალისწინებით, შესაბამისი დავალებების პრიორიტეტიზაცია და გადანაწილება საოპერაციო დეპარტამენტებზე;

- ☑ საოპერაციო დეპარტამენტების მიერ საოპერაციო გეგმების შესრულების მდგომარეობის მონიტორინგი;
- ☑ შემოსავლების სამსახურის მიერ გაწეული საგადასახადო და საბაჟო სერვისების, გატარებული ღონისძიებებისა და სამსახურში არსებული სხვა პროცესების შესრულების ძირითადი ინდიკატორების (KPI) ავტომატიზაცია და ავტომატური რეპორტინგი;
- ☑ მონაცემთა ანალიტიკოსებისათვის საჭირო მონაცემებთან მარტივი და ხელსაყრელი წვდომის უზრუნველყოფა.

რეპორტინგისა და ვიზუალიზაციის გარემოს განვითარება ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა სამსახურისთვის, რის ფარგლებშიც, 2023 წელს , განხორციელდა შემდეგი მოდულებისა და ანგარიშგების ფორმების შემუშავება/ავტომატიზაცია:

- ☑ ბიუჯეტთან ანგარიშსწორების სალდირებული მდგომარეობის, გადამხდელთა ბრუნვის ამსახველი და მონაცემთა საცავში უკვე არსებული სხვა რეპორტების დახვეწა და გაუმჯობესება;
- ☑ მსხვილ გადასახადის გადამხდელთა მონიტორინგის და რეპორტინგის გარემო;
- ☑ გადახდის წყაროსთან დაკავებული გადასახადებისა და მოგების გადასახადის დეკლარაციების რისკების მოდული;
- ☑ დღგ-ის ავტომატური დაბრუნების ფარგლებში არსებული რისკების შეფასების მოდულების ანალიტიკური ანგარიშგება;
- ☑ საგადასახადო მონიტორინგის დეპარტამენტში არსებული ცალკეული კანონშესაბამისობის პროგრამების დავალებათა მართვის სისტემის ავტომატური ანგარიშები;
- ☑ აუდიტის დეპარტამენტის მიერ განხორციელებული დარიცხვების შედეგების რეპორტი (სატესტო რეჟიმი);
- ☑ თითოეული რეპორტისა და მოდულისათვის შესაბამისი ტექნიკური დოკუმენტაციის მომზადება და ა.შ.

საბაჟო მონაცემთა საინფორმაციო სისტემისა და საბაჟო რისკების მართვის სისტემის განვითარება

სამსახურში აქტიურად მიმდინარეობდა საბაჟო რისკების მართვის სისტემის მოდერნიზაცია, რაც გულისხმობს საბაჟო რისკების მართვის სისტემაში თანამედროვე ანალიტიკური პროგრამების დანერგვას და საბაჟო ინფორმაციის წინასწარი გაცვლის სისტემის განვითარებას.

რისკების მართვის პროცესში, ანალიტიკური შესაძლებლობების გაძლიერებისათვის, 2023 წელს, განხორციელდა „Elastic & Kibana"-ს პლატფორმის ინტეგრაცია, რომელიც ამოქმედდა საპილოტე რეჟიმში. აღნიშნული პლატფორმის პროგრამულ მოდულებში არსებული მონაცემების ინტეგრაციის, ფართო და სრულყოფილი ანალიზის განხორციელების მიზნით, დასრულდა ახალ სისტემაში სამუშაოდ საბაჟო ანალიტიკოსების გადამზადების პროცესი.

საბაჟო ინფორმაციის ავტომატურ რეჟიმში წინასწარ გაცვლის სისტემების დანერგვის მიზნით, შემუშავდა და ხელი მოეწერა ტექნიკურ დოკუმენტს საქართველოს, აზერბაიჯანსა და თურქეთს შორის.

საბაჟო კანონმდებლობის დარღვევების გამოვლენის, აღკვეთის და თავიდან აცილების მექანიზმების გაძლიერება

საბაჟო კონტროლის ახალი მექანიზმების შემუშავებისა და საბაჟო პროცესების ავტომატიზაციის საშუალებით, შემოსავლების სამსახური აძლიერებს საბაჟო კანონმდებლობის დარღვევების მართვის სისტემას. აღნიშნული მიმართულებით, შემუშავდა და შემოსავლების სამსახურის ვებგვერდზე, საპილოტე რეჟიმში ფუნქციონირებს საქონლის წარმოშობის სერტიფიკატის განაცხადის ახალი პროგრამული მოდული. მოდული ამ ეტაპზე ფარავს CT-1 სერტიფიკატებს ყურძნისეული წარმოშობის ალკოჰოლიანი სასმელებისთვის და ავტომატურ რეჟიმში ხორციელდება ინფორმაციის მიღება სსიპ ღვინის ეროვნული სააგენტოს პროგრამული მოდულიდან. მიმდინარეობს CT-1 სერტიფიკატის „რეტროსპექტიული" და „სანაცვლო" ფორმების სისტემაში ინტეგრაციის სამუშაოები. ასევე ლიცენზიების, ნებართვებისა და სერტიფიკატების ერთიან ელექტრონულ სისტემაში

დაემატა ოზონდამშლელი ნივთიერებების იმპორტის, ექსპორტის, რეექსპორტის და ტრანზიტის ნებართვები.

მონრეალის ოქმით გათვალისწინებული ნივთიერებების იმპორტის, ექსპორტის, რეექსპორტის და ტრანზიტის შესახებ ინფორმაციის ინტეგრაციის მიზნით, მიმდინარეობს გარემოსა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან ერთობლივი სამუშაოები. ფარმაცევტული პროდუქტის საბაჟო დეკლარაციის და ფარმაცევტული პროდუქტის აღნუსხვის ფორმის გაერთიანებული დოკუმენტის შემუშავების მიზნით, დაინიცირდა „ფარმაცევტული პროდუქტის მიკვლევადობის უზრუნველყოფის ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს მთავრობის N189 დადგენილებაში ცვლილების შეტანა.

საერთაშორისო სანქციების აღსრულება

საერთაშორისო სანქციების აღსრულების მხარდაჭერის ნაწილში, 2023 წელს გრძელდებოდა პარტნიორი ქვეყნების მიერ აღიარებული, საქართველოს კომპეტენტური ორგანოების მიერ, მიმდინარე მკაცრი მონიტორინგი და სანქციებისგან თავის არიდების მიზნით, საქართველოს ტერიტორიის გამოყენების აღკვეთისკენ მიმართული საქმიანობა. ამ მიმართულებით აქტიურად ხორციელდებოდა ინფორმაციის ოპერატიულ რეჟიმში გაცვლა და მუდმივი კოორდინაცია პარტნიორ ქვეყნებთან.

უკრაინაში რუსეთის ფედერაციის საომარ მოქმედებებთან დაკავშირებით, რუსეთის წინააღმდეგ საერთაშორისო სანქციების დაწესების პირველივე დღეებიდან, შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტში შექმნილია შესაბამისი სამუშაო ჯგუფი, რომელიც კომპეტენციის ფარგლებში, კოორდინაციას უწევს საბაჟო პროცედურების განხორციელებისას სანქცირებული ობიექტის (მაგ: საქონელი, პირი, გარიგება და სხვა) იდენტიფიცირების შემთხვევაში, საქონლის/სატრანსპორტო საშუალების/პირების საქართველოს ტერიტორიაზე შემოსვლის/ ტერიტორიიდან გასვლის აღკვეთისა და თავიდან აცილების ღონისძიებებს.

აღნიშნულ პერიოდში შეიქმნა რისკის 36 ახალი პროფილი, რომლის საფუძველზეც, ოპერატიულად იდენტიფიცირდება და მკაცრად კონტროლდება, ევროპის საბჭოს მიერ მიღებული 2014 წლის 31 ივლისის (EU) No 833/2014 რეგულაციის კონსოლიდირებული ვერსიით, ასევე აშშ-ის ვაჭრობის დეპარტამენტის მრეწველობისა და უსაფრთხოების ბიუროს მიერ მიღებული აშშ-ის ექსპორტის კონტროლის წესების (EAR) 746-ე ნაწილით და ეკონომიკური სანქციების მონაწილე სხვა სახელმწიფოების მიერ დაწესებული შემზღუდავი რეგულაციებით გათვალისწინებული სანქცირებული საქონლის ექსპორტის, რეექსპორტის, ტრანზიტის და გადატვირთვის ოპერაციები რუსეთისა და ბელორუსიის მიმართულებით. ასევე აკრძალულია და კონტროლდება სანქცირებული ფიზიკური პირებისა და კომპანიების მიერ საქონლის საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე გადაადგილება.

სანქციების აღსრულების მხარდაჭერის საკითხებთან დაკავშირებით, შემოსავლების სამსახური მუდმივ

კოორდინაციაშია პარტნიორ ქვეყნებთან და ხდება ინფორმაციის გაცვლა ოპერატიულ რეჟიმში, აგრეთვე, სამსახური მჭიდროდ თანამშრომლობს ევროკომისიის საგადასახადო და საბაჟო კავშირის გენერალურ დირექტორატთან (DG TAXUD), ფინანსური სტაბილურობის, ფინანსური სერვისების და კაპიტალის ბაზრების კავშირის გენერალურ დირექტორატთან (DG FISMA), ევროკავშირის კომისიის კრიზისზე რეაგირების ჯგუფთან და აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტთან.

საერთაშორისო სანქციების აღსრულების მხარდაჭერის პროცესში, სანქცირებული ობიექტების იდენტიფიცირება ხორციელდებოდა პარტნიორი ქვეყნების მიერ მიღებული კონსოლიდირებული სამართლებრივი აქტებით.

„სამხედრო და ორმაგი დანიშნულების პროდუქციის კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლისა და „სამხედრო და ორმაგი დანიშნულების პროდუქციის კონტროლის ღონისძიებების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 9 ივნისის №372 დადგენილებით მე-5 და მე-6 მუხლების გათვალისწინებით, რუსეთის ფედერაციის მიმართულებით არ ხორციელდებოდა ორმაგი დანიშნულების პროდუქციის ექსპორტის და ტრანზიტის ნებართვების გაცემა.

საბაჟო კონტროლის ინტენსიურ რეჟიმში ფუნქციონირებდნენ საქართველო-რუსეთის საზღვარზე მდებარე ყაზბეგის საბაჟო გამშვები პუნქტი და საერთაშორისო აეროპორტები, ამ მიზნით, განხორციელდა, როგორც პუნქტების დამატებითი აღჭურვა, ისე საკადრო რესურსის დამატება.

პარტნიორ ქვეყნებთან შეთანხმებით, ხორციელდებოდა 50 მაღალპრიორიტეტული, სენსიტიური საქონლის ჯგუფის გადაადგილების მონიტორინგი და პერიოდული ანგარიშგება ევროკავშირის ევროკომისიის საგადასახადო და საბაჟო კავშირის გენერალურ დირექტორატთან (DG TAXUD), ფინანსური სტაბილურობის, ფინანსური სერვისების და კაპიტალის ბაზრების კავშირის გენერალურ დირექტორატთან (DG FISMA), ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტთან, ასევე აშშ-ის ვაჭრობისა და ხაზინის დეპარტამენტებთან.

აღნიშნული ღონისძიებების შედეგად, 2023 წელს მიღებული იქნა საბაჟო ოპერაციაზე უარის თქმის და საქონლის გამომგზავნ ქვეყანაში გაბრუნების 1764 გადაწყვეტილება. ამასთანავე, 1000-ზე მეტ შემთხვევაში, იმპორტზე/ექსპორტზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილებები მიღებულ იქნა იმპორტიორთა/ექსპორტიორთა ზეპირ/წერილობით მოთხოვნებზე.

შემოსავლების სამსახურის მოთხოვნითა და პარტნიორი ქვეყნების მხარდაჭერით, საქართველოში გაიმართა სანქციების კოორდინაციის სამუშაო ჯგუფის სწავლება, კერძოდ, შეერთებული შტატების ექსპორტის კონტროლისა და საზღვრის უსაფრთხოების პროგრამის ორგანიზებით, საბაჟოს თანამშრომლებს მიეცათ დაშვება სანქციების სასწავლო ელექტრონულ მოდულზე. ასევე განხორციელდა სამუშაო შეხვედრები შემოსავლების სამსახურის ხელმძღვანელობასა და შეერთებული შტატების ვაჭრობის დეპარტამენტის, სახელმწიფო დეპარტამენტის, ხაზინის დეპარტამენტის, საზღვრის დაცვისა და საბაჟოს ხელმძღვანელ პირებს შორის.

ევროკავშირის ორგანიზებით (TAIEX) გაიმართა სასწავლო/სამუშაო შეხვედრები, სადაც ევროკავშირის წევრი ქვეყნების კომპეტენტური ორგანოების წარმომადგენლებმა, სანქციების აღსრულების პრაქტიკა თავიანთ კოლეგებს საქართველოში გაუზიარეს.

ფარმაცევტული პროდუქტის საბაჟო დეკლარაციის ახალი ფორმის შემუშავება

2023 წელს დასრულდა ფარმაცევტული პროდუქტის საბაჟო დეკლარაციის ახალი ფორმის შემუშავება, რაც გულისხმობს ფარმაცევტული პროდუქტის აღნუსხვის ფორმისა და ფარმაცევტული პროდუქტის საბაჟო დეკლარაციის გაერთიანებას. აღნიშნული პროექტის ფარგლებში, ფარმაცევტული პროდუქტის აღნუსხვის დოკუმენტის ფორმაში, ჩაშენდა რეგისტრირებული ფარმაცევტული პროდუქტის შესახებ ინფორმაციის რეალურ დროში ელექტრონულად მიღების სერვისი. მიღებულმა ცვლილებამ უზრუნველყო, აღნუსხვის ფორმის შევსებისას, მექანიკური შეცდომების დაშვების მინიმუმამდე დაყვანა, რაც წინა პერიოდებში წარმოადგენდა მნიშნელოვან გამოწვევას.

რობოტი მებაჟე ოფიცერი

სამსახურში თანამედროვე სამეცნიერო-ტექნიკური მიღწევების დანერგვის მიზნით, გაგრძელდა საბაჟო პროცესების ავტომატიზაციაზე მუშაობა, მანქანური სწავლებისა და რობოტიზაციის ტექნოლოგიის გამოყენებით. კერძოდ, დაინერგა და საპილოტე რეჟიმში ფუნქციონირებს რობოტი მებაჟე ოფიცრის პროექტი.

რობოტის მიერ დამუშავებული ინფორმაციის საფუძველზე, ხორციელდება ექსპორტის საბაჟო დეკლარაციის ავტომატურ შევსება/რეგისტრაციასთან და საბაჟო ფორმალობების დასრულებასთან დაკავშირებული პროცესები: დეკლარაციის შევსება, დარეგისტრირება, ნებართვის/სერთიფიკატის საჭიროების გადამოწმება, შესაბამის მოდულში აღნიშნული დოკუმენტების მოძიება, სხვადასხვა მოდულებთან გადამოწმება/შედარება და ა.შ.

აღნიშნული ტექნოლოგიები უზრუნველყოფს ისეთი პროცესების ავტომატიზაციას, რომელიც ექვემდებარება წინასწარ განსაზღვრულ ლოგიკურ წესებს.

სისტემა ეხმარება მებაჟე ოფიცრებს ეფექტურ მუშაობაში და მნიშვნელოვნად ზოგავს ადამიანურ/დროით რესურს.

საგადასახადო დავალიანების მართვის სისტემის გაუმჯობესება

საგადასახადო დავალიანების მართვის რეფორმის ფარგლებში, სრულად დაინერგა დავალებების მართვის ახალი ელექტრონული სისტემა, რომელიც მოიცავს დავალებების ავტომატურად გადანაწილების, თანამშრომლის მიერ განხორციელებული ღონისძიებების და დავალებაზე მუშაობის ყველა ეტაპის გამჭვირვალობასა და მონიტორინგის შესაძლებლობას.

დაინერგა დავალიანების შესახებ გადამხდელთა ადრეულ ეტაპზე ინფორმირების სისტემა, რომლის მეშვეობითაც, დავალიანების წარმოშობისთანავე ავტომატურად ხორციელდება გადამხდელისათვის არსებული დავალიანების შესახებ, შესაბამისი ინფორმაციის მიწოდება სხვადასხვა კომუნიკაციის არხებით.

დაიწყო მუშაობა საგადასახადო შეთანხმებების მართვის ელექტრონული მართვის სისტემის შემუშავებაზე, რაც მოიცავს შეთახმებების განცხადებების აღრიცხვას, გადასახადის გადამხდელის შესახებ ინფორმაციის ავტომატურ დამუშავებას, შეთანხმების აქტის ელექტრონულად გაფორმებას, შეთანხმების შესრულებასთან ან/და დარღვევასთან დაკავშირებული ბრძანებების გენერირებას, შეთანხმების შესრულების და ვადების პროგრამულ კონტროლს და შეთანხმებით გათვალისწინებული თანხების ასახვას გადასახადის გადამხდელის პირადი აღრიცხვის ბარათზე.

საგადასახადო დავალიანების მართვის რეფორმის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელების შედეგად, 2023 წელს მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა საგადასახადო დავალიანების მოცულობისა და დინამიკის მაჩვენებლები.



- მთლიანი საგადასახადო დავალიანება შემცირდა **10.1 %**-ით;
- აღიარებული საგადასახადო დავალიანება შემცირდა **17.2 %**-ით;
- აღიარებული 1 წელზე ხანდაზმული საგადასახადო დავალიანება შემცირდა **29.3 %**-ით.

საკანონმდებლო და პროცედურული სიახლეები

2023 წლის განმავლობაში, შემოსავლების სამსახურის ინიცირებით შესაბამისი საბჭოს მიერ მომზადდა:

14 სიტუაციური სახელმძღვანელო საგადასახადო დაბეგვრასთან დაკავშირებული საკითხებზე;

1 საჯარო გადაწყვეტილება საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის ნორმის გამოყენების შესახებ;

55 წინასწარი გადაწყვეტილება საქართველოს საგადასახადო და საბაჟო კოდექსით გათვალისწინებული ანგარიშგების წესების ან/და შესასრულებელი საგადასახადო/საბაჟო ვალდებულებების თაობაზე, განსახორციელებელი ან განხორციელებული ოპერაციების შესახებ;

101 წინასწარი გადაწყვეტილება საქონლის მიმართ სასაქონლო კოდის განსაზღვრის შესახებ;

6 წინასწარი შეთანხმება საერთაშორისო კონტროლირებადი ოპერაციების შეფასების შესახებ (APA);

35 გადაწყვეტილება საქონლის წარმოშობის ქვეყნის განსაზღვრის შესახებ.

ეფექტიანი საგადასახადო ადმინისტრირების მიზნით, შემუშავდა შემდეგი მნიშვნელოვანი მეთოდური მითითებები:

- „გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ **საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებით დამტკიცებულ ინსტრუქციაში შეტანილი ცვლილებით,** მეწარმე ფიზიკური პირების შემთხვევაში დარეგულირდა გაცემული/მიღებული სესხ(ებ)ის ნაშთების დეკლარაციაში ასახვის საკითხი, ხოლო იურიდიული პირების შემთხვევაში გარდა სესხისა, დეკლარაციაში ასახვას დაექვემდებარა კაპიტალის შესახებ ფაქტობრივად არსებული/განხორციელებული შენატანების შესახებ ინფორმაცია. აღნიშნული ხელს შეუწყობს საგადასახადო

შემოწმების შედეგად სალაროს ნაშთის ნაწილში გამოვლენილი დანაკლისის/ზედმეტობის წარმოშობის საფუძვლის დადგენას, რაც თავის მხრივ გაზრდის შემოწმების პროცესში აუდიტის მიერ მოპოვებული მტკიცებულებების ხარისხს და შეამცირებს აღნიშნული საფუძვლით დავების წამოწყებას;

- **არაპირდაპირი მეთოდით პირის საგადასახადო ვალდებულების განსაზღვრა** - „პირის საგადასახადო ვალდებულების არაპირდაპირი მეთოდით განსაზღვრის შესახებ“ დამტკიცებული მეთოდური მითითებით დარეგულირდა საგადასახადო ორგანოს მიერ პირის საგადასახადო ვალდებულების არაპირდაპირი მეთოდით განსაზღვრისას, შესაბამისი საფუძვლების დადგენის და შესაბამისი მეთოდების გამოყენების პრინციპები. ამასთან, დოკუმენტით განისაზღვრა პირის საგადასახადო ვალდებულებების არაპირდაპირი მეთოდით განსაზღვრის არსი, რომელიც გულისხმობს სამეურნეო ოპერაციის დასაბეგრი თანხის ცვლილებას, ამავე სამეურნეო ოპერაციის ფორმის კვალიფიკაციის შეუცვლელად;

- **ტექნიკური საშუალებებით მოპოვებული** მტკიცებულებების შემდგომი შენახვისა და გამოყენების პროცესის შესაბამისობაში მოყვანის, მათ შორის, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონთან მიმართებაში, შემუშავდა **„ტექნიკური საშუალებებით მოპოვებული მტკიცებულებების შემდგომი შენახვისა და გამოყენების წესი“,** რომლის შესაბამისადაც განისაზღვრა: ფოტო გადაღების, აუდიო/ვიდეო ჩაწერის მიზნობრიობა, მის განსახორციელებლად საჭირო ტექნიკური საშუალებები, მოპოვებული მტკიცებულებების შენახვის/გამოყენების პრინციპები და აღნიშნულ პროცესში შემოსავლების სამსახურის თანამშრომლის პასუხისმგებლობა;

- საგადასახადო შემოწმების ფარგლებში, **საერთაშორისო კონტროლირებული ოპერაციების** გამოვლენის ხელშეწყობისა და შესაბამისი საქმეების ინიცირების დარეგულირების მიზნით ჩამოყალიბდა და დამტკიცდა: პროცედურული სახელმძღვანელო და სამუშაო ცხრილი თანმდევი შევსების ინსტრუქციით;

- **ტექნიკური ნარჩენების ჩამოწერა** - მომზადებულია საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის, “მიმდინარე კონტროლის პროცედურების ჩატარების, სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა ჩამოწერის, აღიარებული საგადასახადო დავალიანების დაფარვის, საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიებების განხორციელების, სამართალდარღვევათა საქმისწარმოების წესის დამტკიცების თაობაზე“ N994 ბრძანების ცვლილების პროექტი, რომლის მიხედვით განისაზღვრება, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 145-ე მუხლის მე-6 ნაწილის მიზნებისათვის, საქართველოს ნარჩენების მართვის კოდექსით“ გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების ფარგლებში, მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების მქონე ორგანიზაციისთვის გადაცემული სპეციფიკური ნარჩენების ჩამოწერის წესი, წარმოსადგენი განცხადების ფორმა და მისი შევსების ინსტრუქცია.

სიტუაციური სახელმძღვანელოებით/მაგალითებით და მეთოდური მითითებებით, ხორციელდება გადასახადებით და შემოსავლების სამსახურის ადმინისტრირებას დაქვემდებარებული მოსაკრებლებით დაბეგვრის რეჟიმების თვალსაჩინო და მარტივი ფორმით წარმოჩენა და მიწოდება. 2023 წელს შემუშავდა/დაზუსტდა შემდეგი სიტუაციური სახელმძღვანელოები:

- კაპიტალში შეტანილ და გატანილ თანხებს შორის წარმოშობილი სხვაობის დაბეგვრა;
- სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების გადასახადის შეღავათი;
- იჯარით აღებული ქონების სარემონტო და კეთილმოწყობის სამუშაოებზე გაწეული ხარჯების კაპიტალიზება და ქონების გადასახადის განსაზღვრა;
- ქონების გადასახადის მიზნებისთვის მეუღლეთა შემოსავლის გაანგარიშება;
- მიწისა და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობის დაბეგვრა ქონების გადასახადით;
- სამეთვალყურეო საბჭოს წევრის მიერ მიღებული ანაზღაურება;
- საცხოვრებელი ბინის საცხოვრებელი მიზნით გაქირავება ფიზიკურ პირზე;
- ხანდაზმული ვადები საგადასახადო დეკლარაციის წარდგენის ვადის დარღვევისას;

- საწარმოს მიერ წარმომადგენლობითი ხარჯის ფარგლებში გაწეული ხარჯი;
- ფიზიკური პირის მიმართ საგადასახადო აგენტის ვალდებულების შესრულება;
- ლატარიებიდან მიღებული მოგების დაბეგვრა გადახდის წყაროსთან;
- სტაჟიორის შესახებ ინფორმაციის ასახვა დაქირავებულ პირთა რეესტრში;
- საიმპორტო საქონელზე გრანტის სტატუსის მინიჭება;
- მატერიალური ფორმის მარკებით საქონლის სავალდებულო ნიშანდების არაჯეროვანი შესრულება.

საქართველოს საგადასახადო და საბაჟო კოდექსით გათვალისწინებული ანგარიშგების წესების ან/და შესასრულებელი საგადასახადო/საბაჟო ვალდებულებების თაობაზე, განსახორციელებელი ან განხორციელებული ოპერაციების შესახებ, წინასწარი გადაწყვეტილებები მომზადდა შემდეგ სექტორებში:



ასევე, საგადასახადო ორგანოს მიერ გადასახადის გადამხდელთა დაბეგვრის არსებული პრაქტიკის ანალიზის საფუძველზე, მომზადდა ტურისტული მომსახურების დღგ-ით დაბეგვრის თემაზე საჯარო გადაწყვეტილება საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის ნორმის გამოყენების შესახებ.

სტრატეგიული მიზანი II

ორგანიზაციის ინსტიტუციური შესაძლებლობების განვითარება და მდგრადობა

ადამიანური რესურსების მართვის სფეროში თანამედროვე მიდგომების განხორციელება

შემოსავლების სამსახურის დასახული სტრატეგიული მიზნების მისაღწევად, შესაბამისი ადამიანური რესურსების უზრუნველყოფისათვის განსაზღვრული იყო - 3876 საშტატო ერთეული, საიდანაც წლის განმავლობაში დაკავებული იყო საშუალოდ - 90%-ზე მეტი. ასევე, სხვადასხვა დროებითი ფუნქციების შესასრულებლად, სამსახურს დაქირავებული ჰყავდა - 333 თანამშრომელი [2]. აღსანიშნავია, რომ საშტატო ერთეულებიდან 15% მოდის სათავო ოფისის თანამშრომლებზე, ხოლო 85% - საოპერაციო დეპარტამენტებზე. ასევე, აღსანიშნავია, რომ ყველაზე მეტი - თანამშრომელთა 46%-ი (1791 საშტატო ერთეული), მოდის საბაჟო დეპარტამენტზე.



შემოსავლების სამსახური ინარჩუნებს გენდერულად დაბალანსებულ თანამშრომელთა გუნდს. 2023 წელს, საშტატო ერთეულებზე დასაქმებულ თანამშრომელ ქალთა და მამაკაცთა თანაბარი თანაფარდობა იყო.

სამსახური ქმნის მრავალფეროვან, დინამიურ, გამოცდილ და ყველასათვის თანაბარი შესაძლებლობებით უზრუნველყოფილ სამუშაო გარემოს, რაც აუცილებელია ეფექტური და ინოვაციური სერვისების მიწოდებისთვის. თანამშრომელთა უმეტესობის ასაკი 31-40, ხოლო მენეჯერულ პოზიციაზე დასაქმებულთა უმეტესობის ასაკობრივი ჯგუფი 35-55 ასაკის შუალედშია, დასაქმებული თანამშრომლების 60%-ს შემოსავლების სამსახურში მუშაობის 10 წელზე მეტი ხნის გამოცდილება აქვს. ამასთან, სამსახურში დასაქმებულია 40-მდე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი.

2 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

2023 წლის დეკემბრის მდგომარეობით, ადამიანური რესურსების შესახებ მონაცემები სხვადასხვა ჭრილში:





შემოსავლების სამსახური ადამიანური რესურსების მართვის სისტემის განვითარების ფარგლებში, მუდმივად აანალიზებს შიდა და გარე გამოწვევებს, ზრუნავს თანამედროვე სამუშაო გარემოს შექმნასა და თანამშრომელთა პროფესიულ და კარიერულ განვითარებაზე. ამ მიმართულებით, 2023 წელს, შემუშავდა და დამტკიცდა „თანამშრომელთა პროფესიული განვითარების პოლიტიკის სახელმძღვანელო“ და „თანამშრომელთა მოტივაციის პოლიტიკის სახელმძღვანელო“.

ორგანიზაციული რისკების მართვის პოლიტიკის შესაბამისად, განხორციელდა ადამიანური კაპიტალის რისკების იდენტიფიცირება და შეფასება. რისკები შეფასდა შემდეგ ძირითად პროცესებთან მიმართებაში: სამუშაო ძალის დაგეგმვა და დაქირავება, პროფესიული და კარიერული განვითარება, სამუშაოს შესრულების შეფასება, ორგანიზაციული ცვლილება და თანამშრომლების შენარჩუნება.

შესრულებული სამუშაოს შეფასების შედეგებიდან გამომდინარე, განხორციელდა ტრენინგების საჭიროების შეფასება/ანალიზი (TNA). პროფესიული/პიროვნული უნარების განვითარების მიზნით, გადამზადდა სამსახურის 1100 თანამშრომელი. გადამზადების პროცესში მოწვეულ ტრენერებთან ერთად, ასევე ჩართულნი იყვნენ სამსახურის მოქმედი თანამშრომლები, რომლებმაც გაიარეს ტრენერთა ტრენინგი (TOT) და შეიძინეს ტრენერისათვის აუცილებელი უნარები.

კვალიფიციური კადრების დეფიციტის მინიმუმამდე დაყვანისა და საკადრო რეზერვის ფორმირების მიზნით, განახლდა სტაჟირების პროგრამა. შედეგად, სტაჟირების გავლის მსურველთა რიცხვი წინა წელთან

შედარებით გაიზარდა 30%-ით და სტაჟიორის ვაკანტურ პოზიციაზე შემოსული განცხადებების რაოდენობამ 2 190 შეადგინა. სტაჟირების პროგრამის ფარგლებში, ღია და გამჭვირვალე კონკურსით შეირჩა, სტაჟიორად დაინიშნა და სწავლება გაიარა 187 პირმა.

კონკურსის საფუძველზე, საჯარო სამსახურის ბიუროს ვებგვერდის - www.hr.gov.ge - მეშვეობით, შერჩევის ეტაპების გავლის შემდგომ, ვაკანტურ თანამდებობაზე დაინიშნა 188 პირი (სულ განაცხადების რაოდენობა - 1 424);

სამუშაო ძალის მიწოდებისა და მოთხოვნის გაანალიზების, პროგნოზირებისა და დაგეგმვის პროცესის გაუმჯობესების მიზნით, საბაჟო დეპარტამენტის სამ სტრუქტურულ ქვედანაყოფში განხორციელდა სამუშაო ძალის დაგეგმვა (WFP).

შემუშავდა სამუშაო აღწერილობები, რომელიც მოიცავს უფლება-მოვალეობების საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, სავალდებულო და სასურველ პროფესიულ უნარებს, კომპეტენციების დეტალურ აღწერას, სამართლებრივი აქტების ჩამონათვალს. საჯარო სამსახურის ბიუროს წარედგინა წინადადება ადამიანური რესურსების ელექტრონულ სისტემაში (eHRMS) თანამშრომლის მიერ, სამუშაო აღწერილობის ფორმაზე წვდომის და დათანხმების ფუნქციონალის დამატების შესახებ.

დოკუმენტურად დადასტურებული და მარტივად ადმინისტრირებადი ელექტრონული სისტემის შემუშავების მიზნით განხორციელდა სამსახურში არსებული დავალებების მართვის პროგრამების ანალიზი და შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფა, შედეგად, ხელმისაწვდომი გახდა თითოეული თანამშრომლის, სამმართველოს, დეპარტამენტის მიერ დროის კონკრეტულ მონაკვეთში, ვადაზე ადრე/ვადაში/ვადის დარღვევით შესრულებული ან შეუსრულებელი დავალებების შესახებ ავტომატური ანგარიშგება შემდეგ პროგრამებში: დღგ-ის ავტომატური დაბრუნების, დღგ-ის კვალიფიციური გადამხდელის სტატუსის განსაზღვრის, მარაგების მართვის მოდულის დავალებების მართვის პროგრამები.

- თანამშრომელთა მოტივაციის მიზნით:
  - ☑ განსაკუთრებული სირთულის დავალების შესრულებისთვის და სამსახურებრივი მოვალეობის სანიმუშოდ შესრულებისთვის, ასევე, მომსახურების ხარისხის კვლევის შედეგებიდან გამომდინარე, წახალისებულ იქნა **220 თანამშრომელი,** მათ შორის სახელმწიფო სპეციალური წოდება ვადამდე მიენიჭა საბაჟო დეპარტამენტის 41 თანამშრომელს;
  - ☑ თანამშრომელთა საქმიანობის შეფასების სისტემის კვარტალური და წლიური შედეგების გათვალისწინებით, უფრო მაღალ პოზიციაზე დაწინაურდა **173 თანამშრომელი,** მათ შორის, საშუალო და მაღალი რგოლის მენეჯერულ პოზიციაზე - 9;

  - ☑ ცვლილება შევიდა სამსახურის შინაგანაწესში და წელიწადში 24 სამუშაო დღიან ანაზღაურებად შვებულებას, დაემატა 5 სამუშაო დღე (დაქორწინება, შვილის შეძენა (მამის შემთხვევაში) და ოჯახის წევრის გარდაცვალება). დამატებითი ანაზღაურებადი შვებულებით ისარგებლა სამსახურის 52-მა თანამშრომელმა;

- ☑ ჯანსაღი ცხოვრების წესის ხელშეწყობის, კორპორატიული და გუნდური მუშაობის უნარების განვითრების მიზნით, თბილისსა და ბათუმში, სპორტულ სახეობებში: ბოულინი, ბილიარდი, ჭადრაკი და მაგიდის ჩოგბურთი ჩატარდა ჩემპიონატი, სადაც მონაწილეობა მიიღო სხვადასხვა დეპარტამენტის 470-მა თანამშრომელმა;
- ☑ თანამშრომლების შვილებისთვის საზეიმო განწყობის შესაქმნელად, ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღეს, ბავშვთა ნამუშევრების გამოფენა მოეწყო.

2023 წელს განხორციელებული სამსახურებრივი შემოწმების შედეგად, თანამშრომელთა მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის სახით გამოყენებული იქნა: 4 შენიშვნა, 8 გაფრთხილება, 27 ხელფასის პროცენტული დაკავება სამსახურში დასწრებასთან დაკავშირებული დარღვევების გამო, 1 სამსახურიდან გათავისუფლება და დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის ნაცვლად, 6 შემთხვევაში გამოყენებული იქნა სიტყვიერი გაფრთხილება. წინა პერიოდთან შედარებით, 2023 წელს გამოყენებული დისციპლინური პასუხისმგებლობის ღონისძიებების რაოდენობა მნიშვნელოვნად შემცირებულია, რაც ხაზს უსვამს სამსახურის თანამშრომელთა მხრიდან შრომისა და საშემსრულებლო დისციპლინის, შინაგანაწესისა და ეთიკის ნორმების მოთხოვნათა დაცვის ხარისხის გაუმჯობესებას.

თანამშრომელთა შესაძლებლობების განვითარების მიზნით, შემოსავლების სამსახური, მუდმივ რეჟიმში ახორციელებს გადამზადებას, წინასწარ შემუშავებული სწავლების პროგრამების მეშვეობით. 2023 წელს, შემოსავლების სამსახურის სათავო და საოპერაციო დეპარტამენტების თანამშრომლები, ფინანსთა სამინისტროს აკადემიის მიერ ორგანიზებულ ტრენინგებში, შემდეგ მიმართულებებზე გადამზადდნენ:

- ☑ საგადასახადო კანონმდებლობა;
- ☑ ბუღალტრული აღრიცხვა სამეწარმეო სუბიექტებში ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების გამოყენებით;
- ☑ რისკების მართვა საჯარო დაწესებულებებში;
- ☑ ფინანსური აღრიცხვა;
- ☑ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი;
- ☑ ტრანსფერული ფასწარმოქმნა;
- ☑ პროდუქტიულობის მართვა;
- ☑ ცვლილებების მართვა და სხვა.

HR KPI

- **თანამშრომელთა გადინების კოეფიციენტი - 3.95%**
  (გადინების კოეფიციენტი წინა წელთან შედარებით შემცირებულია 2.5% -ით)
- **360 დღეში სამსახურის დატოვების კოეფიციენტი - 0%**
- **შიდა დაწინაურების კოეფიციენტი - 5%**
- **მიღებული და განთავისუფლებული თანამშრომლების რაოდენობის სალდო - + 36%**
- **სწავლება/ტრენინგებით მოსარგებლე თანამშრომელთა კოეფიციენტი - 31%**
- **სტაჟირების გავლის მსურველთა რაოდენობის დინამიკა - + 30%**

- ანალიტიკური დეპარტამენტის თანამშრომლებმა, საგადასახადო ადმინისტრაციების შიდა-ამერიკული ცენტრის (CIAT), საგადასახადო ადმინისტრაციების შიდა ევროპული ცენტრის (IOTA), საერთაშორისო სავალუტო ფონდის (IMF) და ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) ინიციატივით შექმნილი ვირტუალური ტრენინგ პლატფორმა VITARA-ს მეშვეობით, 2023 წლის განმავლობაში, სწავლება გაიარეს შემდეგ კურსებზე:
  - ☑ სტრატეგიული მენეჯმენტი;
  - ☑ რეფორმების ინიცირება და მართვა;
  - ☑ კანონშესაბამისობის რისკების მართვა (CRM);
  - ☑ ორგანიზაციული მოწყობა;
  - ☑ ინსტიტუციური მმართველობა;
  - ☑ ადამიანური რესურსების მართვა;
  - ☑ საგადასახადო ადმინისტრაციების საქმიანობის/შესრულების მაჩვენებლების გაზომვა და მონიტორინგი.
- ანალიტიკური, აუდიტის და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტების თანამშრომლებმა, საერთაშორისო სავალუტო ფონდის (IMF) მხარდაჭერით, კავკასიის, ცენტრალური აზიის და მონღოლეთის რეგიონის შესაძლებლობების განვითარების ცენტრში (CCAMTAC), ყაზახეთის ქალაქ ალმათიში, 2023 წელს გაიარეს შემდეგი სასწავლო პროგრამები:
  - ☑ საგადასახადო ადმინისტრაციის დიაგნოსტიკური შეფასება TADAT-ის გამოყენებით;
  - ☑ რეფორმების პროგრამის შემუშავება და მართვა საგადასახადო ადმინისტრაციაში;
  - ☑ კანონშესაბამისობის რისკების მართვა;
  - ☑ გენდერული საკითხები საგადასახადო ადმინისტრაციებში.
- ანალიტიკური, აუდიტის და ადამიანური რესურსების მართვისა და განვითარების დეპარტამენტების თანამშრომლებმა, ავსტრიაში, ქ. ვენაში, ვენის ერთობლივი ინსტიტუტის (JVI) რეგიონულ სასწავლო ცენტრში, გაიარეს სწავლება საერთაშორისო სავალუტო ფონდის ორგანიზებული შემდეგ კურსებზე:
  - ☑ საგადასახადო დაბეგვრა;
  - ☑ კანონშესაბამისობის რისკების მართვა;
  - ☑ ადამიანური რესურსების მართვა.
- ანალიტიკური და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის თანამშრომლებმა, მონაწილეობა მიიღეს საგადასახადო ადმინისტრაციის შიდა-ევროპული ორგანიზაციის (IOTA) მიერ ორგანიზებულ ვირტუალურ სამუშაო შეხვედრაზე - ციფრულ ეკონომიკაში დღგ-ის თაღლითობასა და კანონშეუსაბამობასთან ბრძოლის თემებზე;
- ანალიტიკური, მეთოდოლოგიის და აუდიტის დეპარტამენტების თანამშრომლებმა, მონაწილეობა მიიღეს საგადასახადო აუდიტისა (Tax e-Audit) და CRM პროცესების გავლენის თემებზე, სლოვენიის ქალაქ ლუბლიანაში, ფინანსური სრულყოფის ცენტრის (CEF) მიერ ორგანიზებულ სასწავლო კურსებში;
- ანალიტიკური, მეთოდოლოგიის, საზოგადოებასთან ურთიერთობის და მარკეტინგის, აუდიტისა და ვალის მართვის დეპარტამენტების თანამშრომლებმა მონაწილეობა მიიღეს, უნგრეთში, ქალაქ ბუდაპეშტში, საგადასახადო ადმინისტრაციის შიდა-ევროპული ორგანიზაციის (IOTA) მიერ ორგანიზებულ სხვადასხვა ტრენინგებში/ფორუმებში ისეთ საკითხებზე, როგორიცაა:
  - ☑ ინფორმაციის ავტომატური გაცვლა (CRS);
  - ☑ დამატებული ღირებულების გადასახადთან დაკავშირებული თაღლითობა;

- ☑ რისკები და შესაძლებლობები საგადასახადო ადმინისტრაციაში;
- ☑ საგადასახადო დავალიანების მართვა;
- ☑ დასაბეგრი ბაზის შემცირებისა და მოგების გადატანის პროექტით (BEPS) გათვალისწინებული ღონისძიებების დანერგვა;
- ☑ არამატერიალური აქტივების ღირებულების შექმნა/განსაზღვრა.

- ► ანალიტიკური და საერთაშორისო ურთიერთობათა დეპარტამენტის თანამშრომლებმა, მონაწილება მიიღეს პოლონეთის საჯარო მმართველობის ეროვნული სკოლის, პოლონეთის ფინანსთა სამინისტროსა და პოლონეთის შემოსავლების ეროვნული ადმინისტრაციის ერთობლივი ორგანიზებით, პოლონეთში, ქალაქ ვარშავაში გამართულ სემინარში საერთაშორისო კონტროლირებული ოპერაციების შეფასებისა და დღგ-თან დაკავშირებით ადმინისტრაციული თანამშრომლობის შესახებ;
- ► ანალიტიკური დეპარატმენტის თანამშრომლებმა, აზიის განვითრების ბანკისა (ADB) და ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის გლობალური ფორუმის (OECD Global Forum), ონლაინ სასწავლო პლატფორმის საშუალებით გაიარეს სასწავლო კურსი, საერთაშორისო კონტროლირებადი ოპერაციების შეფასების საფუძვლებში;
- ► ანალიტიკური დეპარტამენტის საგადასახადო მიზნებისათვის ინფორმაციის გაცვლაზე პასუხისმგებელმა თანამშრომლებმა, საგადასახადო ადმინისტრაციების ცოდნის გაზიარების ვირტუალური პლატფორმის (KSP) საშუალებით, გაიარეს ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის გლობალური ფორუმის (OECD Global Forum) შემდეგი სასწავლო კურსები:
  - ☑ ბენეფიციური მესაკუთრეობა (BO);
  - ☑ ინფორმაციის გაცვლა მოთხოვნის საფუძველზე (EOIR);
  - ☑ ინფორმაციის ავტომატური გაცვლა (AEOI);
  - ☑ ინფორმაციის გაცვლა, როგორც გადასახადებისგან თავის არიდების ინსტრუმენტი;
  - ☑ შესავალი საერთო გადაცემის სისტემაში (CTS);
  - ☑ ქვეყნების მიხედვით ანგარიშგების შესაბამისი გამოყენება (CbCR);

- ☑ დასაბეგრი ბაზის შემცირებისა და მოგების გადატანის მინიმალური სტანდარტი (BEPS);
- ☑ შესავალი საერთაშორისო კონტროლირებადი ოპერაციების შეფასებაში (ტრანსფერფრაიზინგი);
- ☑ საერთაშორისო კონტროლირებადი ოპერაციების შეფასების საბაზისო კურსი;
- ☑ შესავალი საერთაშორისო საგადასახადო შეთანხმებებში.

- ► ანალიტიკური დეპარტამენტის ორმა თანამშრომელმა, მონაწილეობა მიიღო ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) მიერ, თურქეთში, ქალაქ ანკარაში, საგადასახადო მიზნებისათვის ინფორმაციის გაცვლის თემაზე გამართულ სემინარში;

- ► საერთაშორისო ურთიერთობათა დეპარტამენტის ერთმა თანამშრომელმა, მონაწილეობა მიიღო, აზიის განვითრების ბანკისა (ADB) და ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის გლობალური ფორუმის (OECD Global Forum) ორგანიზებითა და მხარდაჭერით, ფილიპინებში, ქალაქ მანილაში გამართულ, ბენეფიციარული მესაკუთრეობისა და მოთხოვნის საფუძველზე ინფორმაციის გაცვლის შემფასებლის მოსამზადებელ ტრენინგში;

- ► მსოფლიო საბაჟო ორგანიზაციის WCO ორგანიზებით, 2023 წელს, შემოსავლების სამსახურის საბაჟო და საერთაშორისო ურთიერთობათა დეპარტამენტების თანამშრომლებმა მონაწილეობა მიიღეს, კონტეინერების კონტროლის პროგრამისა და სტრატეგიული ვაჭრობის კონტროლის აღსრულების თემაზე გამართულ სამუშაო შეხვედრებში;

- ► საბაჟო დეპარტამენტის თანამშრომლებმა, მონაწილეობა მიიღეს ევროკავშირის კონვენციური შეიარაღების ექსპორტის კონტროლის (EU COARM) პროექტის ფარგლებში გამართულ რეგიონალურ სემინარში;

- ► აზიის განვითარების ბანკის (ADB) და ცენტრალური აზიის რეგიონული ეკონომიკური თანამშრომლობის (CAREC) მხარდაჭერით გამართულ კონფერენციას თემაზე: „ელექტრონული ფიტოსანიტარიული სერტიფიცირების (E-Phyto) დანერგვა“ დაესწრნენ შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტის თანამშრომლები;

- ► საბაჟო, იურიდიული და მეთოდოლოგიის დეპარტამენტების თანამშრომლებმა, მონაწილოება მიიღეს აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) ორგანიზებით, საგადასახადო კოდექსში დაგეგმილი ცვლილების ძირითადი პრინციპების განხილვის, ავტორიზებული ეკონომიკური ოპერატორების პროგრამისა და საბაჟო ფორმალობების, მგზავრების რისკების მართვის პროცედურების გაუმჯობესებისა და ვაჭრობის ხელშეწყობის ეროვნული კომიტეტების ინსტიტუციონალური განვითარების მიზნით გამართულ სამუშაო შეხვედრებში;

- ► საბაჟო და საერთაშორისო ურთიერთობათა დეპარტამენტების თანამშრომლებმა, მონაწილეობა მიიღეს ევროკავშირის BMMAG პროექტის ფარგლებში, ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობისა და ინფორმაციის გაცვლის თემაზე გამართულ ტრენინგში;

- ► საბაჟო დეპარტამენტის თანამშრომლებმა, მონაწილეობა მიიღეს ევროპის საზღვრისა და სანაპირო დაცვის სააგენტოს (Frontex) მხარდაჭერით, სასაზღვრო გამტარ პუნქტებზე თამბაქოს პროდუქციის უკანონო გადატანის წინააღმდეგ ბრძოლის თემაზე გამართულ სწავლებაში;

- ► საბაჟო დეპარტამენტის თანამშრომლებისთვის, საფრანგეთის რესპუბლიკის ეკონომიკისა და ფინანსთა სამინისტროების, საბაჟოსა და აქციზის გენერალური დირექტორატის ორგანიზებით, „ავტოსატრანსპორტო საშუალებების შემოწმება-კონტროლის“ შესახებ გაიმართა სწავლება. სამუშაო შეხვედრების ფარგლებში, მხარეებმა განიხილეს მალფუჭებადი საკვები პროდუქტების საერთაშორისო ტრანსპორტირების მოთხოვნები (ATP), სახიფათო ტვირთების ტრანსპორტირების რეგულაციები (ADR), სატრანსპორტო დოკუმენტაციის კონტროლის მექანიზმები და სხვა მნიშვნელოვანი საკითხები. ამასთან, საბაჟო გამშვებ პუნქტზე ,,წითელი ხიდი“ ჩატარდა პრაქტიკული სწავლება;

- ► საბაჟო დეპარტამენტის წარმომადგენლებმა, პირველადი გადაუდებელი სამედიცინო დახმარების სწავლებაში მიიღეს მონაწილეობა. აღნიშნული სემინარი ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის (WHO) საქართველოს წარმომადგენლობის ორგანიზებით გაიმართა;

- გაეროს განვითარების პროგრამისა (UNDP) და საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ერთობლივი პროექტის - „საქართველოში მონრეალის ოქმის განხორციელების სამოქმედო პროგრამის“ ფარგლებში შემოსავლების სამსახურის მებაჟე-ოფიცრებმა ოზონდამშლელი ნივთიერებებისა და მათი ამოცნობის საკითხებზე გამართულ ერთობლივ სწავლებაში მიიღეს მონაწილეობა. სასწავლო პროგრამა ითვალისწინებდა თეორიულ და პრაქტიკულ მეცადინეობებს და მოიცავდა ისეთ მნიშვნელოვან თემებს, როგორიცაა: მონრეალის ოქმით კონტროლირებად ნივთიერებებთან დაკავშირებული ეროვნული რეგულირება და საკანონმდებლო ბაზა, ნივთიერებების არალეგალური იმპორტი /ექსპორტი /ტრანზიტი, ამომცნობი მოწყობილობების უსაფრთხო მოპყრობის წესები და სხვა. აღსანიშნავია, რომ „საქართველოში მონრეალის ოქმის განხორციელების სამოქმედო პროგრამა“ 2009 წლიდან ხორციელდება და ხელს უწყობს მონრეალის ოქმით ნაკისრი ვალდებულებების, კერძოდ კი, ოზონდამშლელი ნივთიერებების ხმარებიდან ამოღება-შემცირებას;

- ევროკომისიის ჯანმრთელობის და სურსათის უვნებლობის დირექტორატის (DG SANTE) ინიციატივით და გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) მხარდაჭერით, ფინანსთა სამინისტროს აკადემიაში ჩატარდა სწავლება, რომლის დროსაც ევროკავშირის ექსპერტებმა მონაწილეებს შემოსავლების სამსახურიდან და სურსათის ეროვნული სააგენტოდან, ჩაუტარეს სწავლება ევროკავშირის ვეტერინარული, სურსათის უვნებლობის და ფიტოსანიტარული კონტროლის ელექტრონულ სისტემაში TRACES მუშაობის, ელექტრონული სერტიფიცირების, სასაზღვრო კონტროლის პროცედურების, ტვირთის სასაზღვრო კონტროლის პროცედურების და ინსტრუქციის შესახებ;

- 2023 წელს, შემოსავლების სამსახურის წარმომადგენლებმა, ტრანსკასპიური დერეფნის განვითარებისადმი მიძღვნილ ერთობლივ სწავლებაში მიიღეს მონაწილეობა. პროექტი მიზნად ისახავდა, კერძო სექტორისთვის, ისეთი სამუშაო პლატფორმის შექმნას, რომელიც უზრუნველყოფს ტრანსკასპიური სავაჭრო გზის გასწვრივ არსებული ძირითადი დაბრკოლებების იდენტიფიცირებას, ასევე სხვადასხვა ქვეყნის მთავრობებისთვის ქმედითი რეკომენდაციების შემუშავებას და საბაჟო კონტროლის პროცედურების კიდევ უფრო ჰარმონიზაციას;

- ერთობლივი სწავლება ამერიკის შეერთებული შტატების კომერციული სამართლის განვითარების პროგრამისა (CLDP) და საგზაო ტრანსპორტის საერთაშორისო კავშირის (IRU) ორგანიზებით გაიმართა. ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღეს TIR ეროვნული ასოციაციის წარმომადგენლებმა - (ყაზახეთი, ყირგიზეთი, უზბეკეთი, ტაჯიკეთი, თურქმენეთი, აზერბაიჯანი და საქართველო), ასევე სატრანსპორტო - ლოგისტიკური კომპანიების ხელმძღვანელმა პირებმა;

- „ინფორმაციული უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონის ახალი მოთხოვნების შესაბამისად, 2023 წელს, შემოსავლების სამსახურის სამმა თანამშრომელმა, ჩააბარა ინფორმაციული უსაფრთხოების საერთაშორისო ISO/IEC 27001-ის (Lead Implementer) სტანდარტის სასერტიფიკაციო გამოცდა და მიიღო საერთაშორისოდ აღიარებული სერტიფიკატი.

რეგიონთაშორისი სამეკავშირეო ქსელის (IREN) შეხვედრა

შემოსავლების სამსახურის წარმომადგენლებმა, მონაწილეობა მიიღეს მსოფლიო საბაჟო ორგანიზაციის (WCO) და გაეროს ნარკოტიკებისა და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ოფისის (UNODC) ერთობლივი პროექტის - „კონტეინერების კონტროლის პროგრამის“ ფარგლებში, ცენტრალური აზიის რეგიონალური ოფისის (UNODCROCA) ორგანიზებით, ყაზახეთის ქალაქ ალმათიში რეგიონთაშორისი სამეკავშირეო ქსელის (IREN) ექსპერტთა რიგით მეხუთე შეხვედრაში. აღნიშნული შეხვედრა მიზნად ისახავდა IREN-ის ფუნქციური ამოცანების კონსოლიდაციასა და თამბაქოს ნაწარმის უკანონო გადაადგილების აღკვეთასთან დაკავშირებული ერთობლივი ოპერაციების შედეგების განხილვას. ასევე, უკანონო საქმიანობის აღმოსაფხვრელად მაღალი რისკის მქონე ტვირთების იდენტიფიცირებას, ლეგიტიმური ვაჭრობის ხელშეწყობას და საერთაშორისო თანამშრომლობის კიდევ უფრო გაძლიერებას.

შემოსავლების სამსახურის წარმომადგენლებთან ერთად, შეხვედრაში მონაწილეობას იღებდნენ მსოფლიო საბაჟო ორგანიზაციის (WCO) და გაეროს ექსპერტები. ასევე, შავი ზღვისა და ცენტრალური აზიის ქვეყნების საბაჟო ადმინისტრაციების წარმომადგენლები და კონტეინერების კონტროლის პროგრამის ხელმძღვანელი პირები.

საგადასახადო მიზნებისთვის ინფორმაციის გაცვლისა და გამჭვირვალობის გლობალური ფორუმი

შემოსავლების სამსახურის წარმომადგენლები, ქ. ლისაბონში, გამართულ ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) საგადასახადო მიზნებისთვის ინფორმაციის გაცვლისა და გამჭვირვალობის გლობალური ფორუმის რიგით მე-16 პლენარულ შეხვედრას დაესწრნენ. შეხვედრისას, წევრი სახელმწიფოების წარმომადგენლებმა შეაჯამეს გლობალური ფორუმის 15-წლიანი მუშაობის შედეგები, ასევე განიხილეს საერთაშორისო საგადასახადო თანამშრომლობის და გამჭვირვალობის სტანდარტები, რომელთა მეშვეობითაც სახელმწიფოები ებრძვიან გადასახადებისგან თავის არიდებას და ზრდიან საგადასახადო შემოსავლებს. ამასთან, შეხვედრაზე დაამტკიცეს გლობალური ფორუმის სამოქმედო გეგმა, იმსჯელეს საგადასახადო ინფორმაციის გაცვლის სტანდარტების ეფექტიანად აღსრულების გზებსა და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე.

პლენარული შეხვედრის ფარგლებში, შემოსავლების სამსახურის მიერ წარმოდგენილი იყო ინფორმაცია საქართველოში ინფორმაციის გაცვლის საერთაშორისო სტანდარტების, მათ შორის, ფინანსური ანგარიშების შესახებ, ინფორმაციის ავტომატური გაცვლის სტანდარტის (AEOI) დანერგვის პროცესზე, ასევე იმპლემენტაციის პროცესში განხორციელებულ აქტივობებზე, ტექნიკური დახმარების შესაძლებლობებზე/შედეგებზე და სტანდარტების დანერგვასთან დაკავშირებულ სამომავლო გეგმებზე. აღსანიშნავია, რომ ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) გამჭვირვალობისა და ინფორმაციის გაცვლის გლობალური ფორუმი წარმოადგენს საერთაშორისო სტანდარტების იმპლემენტაციისათვის ყველაზე მნიშვნელოვან საერთაშორისო პლატფორმას, რომელიც აერთიანებს მსოფლიოს 160-ზე მეტ ქვეყანას (მათ შორის G-20-ის, ევროკავშირის და OECD-ის წევრი ყველა ქვეყანა), 2011 წლიდან საქართველო აღნიშნული ფორუმის წევრი ქვეყანაა.

ჩრდილოეთ მაკედონიის საბაჟო ადმინისტრაციასთან თანამშრომლობა

ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) ორგანიზებითა და მხარდაჭერით, შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტის დელეგაცია, ჩრდილოეთ მაკედონიის საბაჟო ადმინისტრაციას ეწვია. ვიზიტი მიზნად ისახავდა, საბაჟო პროცედურების ეფექტიანი მართვის მიმართულებით, სახელმწიფო საზღვრის კვეთისას „ერთი გაჩერების პრინციპის“ გამოცდილების გაზიარებასა და ორ ქვეყანას შორის მჭიდრო თანამშრომლობის განვითარებას. ვიზიტის ფარგლებში, გაიმართა შეხვედრა ჩრდილოეთ მაკედონიის საბაჟო ადმინისტრაციის ხელმძღვანელთან. შეხვედრისას მხარეებმა, საინფორმაციო სისტემების უახლესი ტენდენციების გათვალისწინებით, საბაჟო გამშვები პუნქტების ერთობლივი მართვის სამართლებრივი პრინციპები განიხილეს და ადმინისტრაციებს შორის არსებულ გამოწვევებზე ისაუბრეს. ამასთან, შემოსავლების სამსახურის დელეგაციის წევრები, ჩრდილოეთ მაკედონიისა და სერბეთის რესპუბლიკას შორის არსებულ ერთობლივ საბაჟო გამშვებ პუნქტ „ტაბანოვცე-პრეშევოს“ ესტუმრნენ და ადგილზე გაეცნენ საზღვრის კვეთის პროცედურებსა და თანამედროვე ინფრასტრუქტურულ ობიექტებს.

NTO-ს რიგით მეორე ტექნიკურ კონფერენცია

საგადასახადო ადმინისტრაციათა ქსელისა (NTO) და აფრიკის საგადასახადო ადმინისტრაციების ფორუმის (ATAF) მიწვევით, შემოსავლების სამსახურის ინფორმაციული უსაფრთხოების ოფიცერმა მონაწილეობა მიიღო NTO-ს რიგით მეორე ტექნიკურ კონფერენციაში, რომელიც გაიმართა სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში, ქალაქ კეიპტაუნში და მოიცავდა საგადასახადო ადმინისტრაციების ციფრულ ტრანსფორმაციასთან დაკავშირებულ გამოწვევებსა და შესაძლებლობებს. მონაწილეთათვის საგადასახადო ადმინისტრაციების წინაშე არსებულ კიბერრისკებსა და საფრთხეებთან დაკავშირებით გამოცდილების გაზიარების მიზნით, საქართველოს წარმომადგენლის მოხსენება ეხებოდა ტექნოლოგიების განვითარებასა და მათ პოტენციურ ზემოქმედებას საგადასახადო ორგანოებზე.

სატრანზიტო დერეფნის განვითარება

ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს ეკონომიკური მმართველობის პროგრამის (USAID) მხარდაჭერით, შემოსავლების სამსახურის წარმომადგენლები ქალაქ ალმათიში რეგიონული საბაჟო ადმინისტრაციების სამუშაო შეხვედრას დაესწრნენ, რომელიც სატრანზიტო დერეფნის განვითარების ფარგლებში გაიმართა. შეხვედრა ტრანზიტის პროცედურების გამარტივებისა და ავტომატიზაციის პროექტის საკითხების განხილვას დაეთმო. შეხვედრის მსვლელობისას, მხარეებმა განიხილეს ყაზახეთის სხვადასხვა უწყების მიერ შემუშავებული სატრანზიტო დერეფნის განვითარების კონცეფცია და ქვეყნებს შორის, ტრანზიტის პროცედურების გამარტივებისა და ავტომატიზაციის შესახებ იმსჯელეს. ამასთან, შეხვედრის ბოლოს 5 ქვეყნის წარმომადგენლებმა ხელი მოაწერეს პროტოკოლს - ,,სატრანზიტო პროცედურების გამარტივებასა და ავტომატიზაციის მიმართულებით თანამშრომლობის შესახებ“.

თბილისი-ევროკავშირის მოკავშირე ოფიცრების ჯგუფის“ (TEULOG) წევრების ვიზიტი

შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტისა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის წარმომადგენლებმა, თბილისი-ევროკავშირის მოკავშირე ოფიცრების ჯგუფის“ (TEULOG) წევრებს უმასპინძლეს. შეხვედრის ფარგლებში, საქართველოში აკრედიტებულმა პარტნიორი ქვეყნების (საფრანგეთი, გერმანია, იტალია, ლატვია, ნიდერლანდები და პოლონეთი) პოლიციის ატაშეებმა დაათვალიერეს - საბაჟო გამშვები პუნქტი ,,სარფი“, ბათუმისა და ფოთის პორტები, ასევე ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტი და საზღვრის ინტეგრირებული მართვის პროცესს ადგილზე გაეცნენ.

სამუშაო შეხვედრების მსვლელობისას, შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტის და შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის წარმომადგენლებმა სტუმრებს გააცნეს

უსაფრთხოების, უკანონო ვაჭრობის და მიგრაციის მიმართულებით სასაზღვრო უწყებების მიერ დანერგილი ეფექტური კონტროლის მექანიზმები, ასევე, უწყებათაშორისი დანაყოფების მუშაობის სპეციფიკა და არეალი. „თბილისი-ევროკავშირის მოკავშირე ოფიცრების ჯგუფის“ წევრებმა დადებითად შეაფასეს უწყებათაშორისი თანამშრომლობა და გამოთქვეს მომავალში მჭიდრო თანამშრომლობის გაგრძელების მზადყოფნა.

იტალიასა და საფრანგეთის რესპუბლიკასთან საბაჟო საკითხებში თანამშრომლობა

მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (IOM) მხარდაჭერით, საბაჟო დეპარტამენტის და პარტნიორი უწყებების შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელი პირები, სამუშაო ვიზიტით იტალიასა და საფრანგეთის რესპუბლიკას ეწვივნენ. ვიზიტის ფარგლებში საქართველოს დელეგაციის წევრები ესტუმრნენ ქ. ნიცაში მდებარე საერთაშორისო აეროპორტს, სადაც საზღვრის ერთობლივი მართვის ცენტრის საქმიანობას ადგილზე გაეცნენ. ამასთან, დელეგაციის წევრებმა შეხვედრები გამართეს ქ. ვენტიმილიას მერთან, ფლავიო დი მუროსთან, იტალიის რეგიონული საბაჟო-სასაზღვრო პოლიციის თანამშრომლებთან, ასევე ფინანსური პოლიციის ხელმძღვანელ პირებთან, სადაც დეტალურად გაეცნენ იტალიისა და საფრანგეთის პოლიციისა და საბაჟოს თანამშრომლობის ცენტრის მუშაობის სპეციფიკას.

საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შეთანხმებით გათვალისწინებულ საბაჟო ქვეკომიტეტის მე-9 ყოველწლიური შეხვედრა

შემოსავლების სამსახურმა საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შეთანხმებით გათვალისწინებულ საბაჟო ქვეკომიტეტის რიგით მე-9 ყოველწლიურ შეხვედრას უმასპინძლა. ქვეკომიტეტის ფარგლებში, მხარეებმა საქართველოსა და ევროკავშირს შორის საბაჟო სფეროში დაახლოების საკითხები განიხილეს. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ევროკომისიის მიერ, ინიცირებულ საბაჟო რეგულაციების რეფორმას და ამ მიმართულებით მიმდინარე საკანონმდებლო სიახლეების გაზიარებას.

სემინარი კომერციული სამართლის განვითარების პროგრამის (CLDP) ორგანიზებით

ამერიკის შეერთებული შტატების სავაჭრო დეპარტამენტის „კომერციული სამართლის განვითარების პროგრამის (CLDP) ორგანიზებით, შემოსავლების სამსახურის წარმომადგენლებმა მოლდოველი კოლეგებს „ახალი კომპიუტერიზებული სატრანზიტო სისტემის“ (NCTS) დანერგვის შესახებ გამოცდილება გაუზიარეს. სემინარის ფარგლებში, ისაუბრეს ელექტრონული სისტემის დანერგვის პროცესში მიღებული გამოცდილების შესახებ, როგორც სამართლებრივი, ასევე საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და ადამიანური რესურსების განვითარების მიმართულებით.

ორგანიზაციის უწყებრივი რისკების მართვის სისტემის დანერგვა

ორგანიზაციული რისკების თანამედროვე ქმედითი მართვის სისტემის დამკვიდრება და გამართულად ფუნქციონირება წარმოადგენს სამსახურის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ამოცანას, რისთვისაც ხორციელდება სათანადო ადამიანური, ფინანსური, დროითი და ტექნოლოგიური რესურსების თანმიმდევრული ინვესტირება.

ორგანიზაციაში უწყებრივი რისკების მართვის სისტემის დანერგვა, დაიწყო 2022 წელს, შემოსავლების სამსახურის ანალიტიკური დეპარტამენტის მიერ ორგანიზაციული რისკების მართვის პოლიტიკის დოკუმენტის

შემუშავებით და სათავო ოფისის ცალკეულ დეპარტამენტებში რისკების რეესტრების დანერგვით, რომელიც აქტიურად გაგრძელდა 2023 წელს და მოიცვა სათავო ოფისის ყველა დეპარტამენტი.

შემოსავლების სამსახური ორგანიზაციული რისკების მართვის პოლიტიკის შესაბამისად, ეტაპობრივად უზრუნველყოფს ინფორმირებული და რისკით შეწონილი გადაწყვეტილების მიღების პრინციპების განვითარებას და რისკის მართვის პროცესის მენეჯერული ანგარიშვალდებულების განუყოფელ ნაწილად დამკვიდრებას.

ინფორმაციული უსაფრთხოების სისტემის თანამედროვე სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა

ინფორმაციული უსაფრთხოების მართვის სისტემის სრულყოფისა და „ინფორმაციული უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონის ძირითად მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის მიმართულებით, 2023 წელს შემოსავლების სამსახურში შემუშავდა ინფორმაციული უსაფრთხოების შიდა სამსახურებრივი გამოყენების წესები, რომლებიც ემსახურება ამ კანონის დებულებათა აღსრულებას და განსაზღვრავს ორგანიზაციის ინფორმაციული უსაფრთხოების პოლიტიკას.

განახლდა ინფორმაციული უსაფრთხოების პოლიტიკა და მასთან დაკავშირებული დოკუმენტები, როგორიც არის - ბიზნეს უწყვეტობის პოლიტიკა, წვდომის კონტროლის პოლიტიკა და პროცედურა, ინფორმაციული უსაფრთხოების ინციდენტების მართვის პროცედურა და სხვა ინფორმაციული უსაფრთხოების პოლიტიკის დოკუმენტები. აღნიშნული საკითხების დანერგვის და მართვის მიზნით, სამსახურში ფუნქციონირებს ინფორმაციული უსაფრთხოების საბჭო.

აღსანიშნავია, რომ 2023 წელს სამსახურმა გაიარა საგადასახადო საკითხებში ფინანსური ანგარიშგების შესახებ ინფორმაციის ავტომატური გაცვლის დაწყების წინარე კონფიდენციალურობისა და მონაცემთა დაცვის შეფასების საერთაშორისო აუდიტი. OECD და Global Forum-ის აუდიტორთა მხრიდან, ინფორმაციული უსაფრთხოების მართვისადმი საქართველოს ამჟამინდელი მიდგომა, მიჩნეულ იქნა ადეკვატურად ინფორმაციის გაცვლის პროექტებში მონაწილეობისთვის. საქართველოს კონფიდენციალურობისა და მონაცემთა დაცვის გარანტიები შეფასდა, როგორც საგადასახადო საკითხებში ფინანსური ანგარიშების გაცვლის საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისი.

სამსახურში ეტაპობრივად ხორციელდება ISO 27001 საერთაშორისო სტანდარტის მოთხოვნების დანერგვა. ამასთანავე, ინფორმაციული უსაფრთხოების საკითხებზე ცნობიერების ამაღლების მიზნით, შემოსავლების სამსახურის თანამშრომლებისთვის შემუშავებულია სასწავლო კურსი, რომლის ყოველწლიურად გავლაც სავალდებულოა ყველა თანამშრომლისათვის.

პროექტების მართვის სისტემის გაძლიერება

2022 წელს, შემოსავლების სამსახურში შემუშავდა და დამტკიცდა პროექტების მართვის სახელმძღვანელო და სამსახურმა დაიწყო ახალი ერთიანი პროექტების მართვის მეთოდოლოგიის დანერგვა. 2023 წელს, სახელმძღვანელოს შესაბამისად, შეიცვალა პროექტების სასიცოცხლო ციკლის მართვის პროცესი, დაიდენტიფიცირდა პროგრამები და პორტფელები, სადაც თემატურად გაერთიანდა შესაბამისი პროექტები, განისაზღვრა პროექტების მართვის პროცესში ჩართული პირების როლები და პასუხისმგებლობები.

სამსახურში პროექტების მართვის სისტემატიზებული და თანმიმდევრული პროცესების ჩამოყალიბების მიზნით, 2023 წელს, თანამედროვე და საუკეთესო პრაქტიკაზე დაყრდნობით, სამსახურმა დაიწყო IT პროექტების მართვის განახლებული პროცესების დანერგვა, რაც ხელს შეუწყობს სამსახურში მიმდინარე IT პროექტების მიზანშეწონილობის, პრიორიტეტულობისა და ეფექტიანობის შეფასებას, პროცესების მაქსიმალურ გაციფრულებასთან დაკავშირებული სამსახურის მისიისა და ხედვის განხორციელებას. გამარტივდება ინფორმირებული გადაწყვეტილების მიღება, პროექტებზე შესაბამისი რესურსების გადანაწილება და საერთო მიზნებზე ორიენტირებული შედეგის მიღწევა.

IT პროექტების მართვის განახლებული პროცესების მხარდასაჭერად დაიგეგმა პროგრამული უზრუნველყოფა JIRA-ს ადაპტირება, IT პროექტების მართვის მეთოდოლოგიასთან. სატესტო გარემოში უკვე ხორციელდება რამდენიმე ადაპტირებული IT პროექტი. ამასთან, დაიგეგმა საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრის პროექტის მენეჯერების გადამზადება IT პროექტების მართვის შიდა მეთოდოლოგიაში.

IT პროექტების მართვის პროცესის სრულყოფისა და ფორმალიზების, ასევე ანგარიშგების გამარტივებისთვის, ეტაპობრივად განხორციელდება სხვადასხვა ტექნიკური საშუალების გაუმჯობესებული ფუნქციონალისა და ე.წ. „ფლაგინების“ მოძიება და დანერგვა.

სტრატეგიული მიზანი III

საერთაშორისო თანამშრომლობა

თანამშრომლობის ორმხრივი, მრავალმხრივი ფორმატებისა და ტექნიკური დახმარების არეალის გაფართოება

თანამედროვე საგადასახადო ადმინისტრაციების წარმატებული საქმიანობისა და განვითარების მნიშვნელოვანი კომპონენტია საერთაშორისო თანამშრომლობა, რაც შემოსავლების სამსახურის ერთ-ერთ სტრატეგიულ მიზანს წარმოადგენს. საერთაშორისო პრაქტიკის გაზიარება, სამსახურში არსებული პროცესების დახვეწის და ახალი შესაძლებლობების განვითარების უმნიშვნელოვანესი ფაქტორია. პარტნიორებისგან მიღებული საერთაშორისო შეფასებები და უკუკავშირი საზოგადოების მიმართ ანგარიშვალდებულების მაღალი სტანდარტის მიღწევის და დაინტერესებულ პირთა ნდობის ზრდის დამატებითი შესაძლებლობაა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შემოსავლების სამსახური აქტიურად თანამშრომლობს პარტნიორ სახელმწიფოებთან, რეგიონულ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან. აფართოებს თანამშრომლობის ორმხრივ, მრავალმხრივ ფორმატებსა და ტექნიკური დახმარების არეალს.

საერთაშორისო თანამშრომლობის კუთხით, განსაკუთრებული ყურადღება ექცევა გადასახადებისგან თავის არიდების წინააღმდეგ ბრძოლაში ურთიერთთანამშრომლობასა და საქართველოს მიერ ნაკისრი საერთაშორისო ვალდებულებების შესრულების მხარდაჭერას. ამ მიზნით სამსახური აფართოებს ინფორმაციის გაცვლის საერთაშორისო სამართლებრივ ბაზას, ნერგავს ახალ საერთაშორისო თანამშრომლობის ინსტრუმენტებს. აქტიურად არის ჩართული საერთაშორისო სანქციების აღსრულებაში და საკუთარი წვლილი შეაქვს ევროკავშირთან ინტეგრაციის პროცესების მხარდაჭერაში.

საქართველო IOTA-ს პრეზიდენტი ქვეყანა

საქართველომ, როგორც საგადასახადო ადმინისტრაციების შიდა-ევროპული ორგანიზაციის (IOTA) პრეზიდენტმა ქვეყანამ, 2023 წლის 27-29 ივნისს, ქალაქ თბილისში, უმასპინძლა IOTA-ს 27-ე გენერალურ ასამბლეას.

ევროპის საგადასახადო ადმინისტრაციათა შიდა ევროპული ორგანიზაცია (IOTA) 1996 წელს დაარსდა და აერთიანებს ევროპის რეგიონის 43 ქვეყნის ადმინისტრაციას. გენერალური ასამბლეა წელიწადში ერთხელ იმართება და მას პრეზიდენტი ქვეყნის ადმინისტრაცია მასპინძლობს. ასამბლეის მიზანია ორგანიზაციის მიერ, საანგარიშო წლის განმავლობაში განხორციელებული საქმიანობის შეფასება, ასევე საგადასახადო ადმინისტრაციებს შორის თანამშრომლობა, გამოცდილების გაზიარება და რეგიონის საგადასახადო ადმინისტრაციების წინაშე არსებული მნიშვნელოვანი გამოწვევების განხილვა.

აღსანიშნავია, რომ 2022 წელს, 26-ე გენერალური ასამბლეის გადაწყვეტილებით, საქართველო პირველად გახდა საგადასახადო ადმინისტრაციების შიდა-ევროპული ორგანიზაციის (IOTA) პრეზიდენტი ქვეყანა ერთი წლის ვადით.

თბილისში გამართული 27-ე გენერალურ ასამბლეის 3-დღიან ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღო 180-ზე მეტმა დელეგატმა, კერძოდ, შეხვედრას ესწრებოდნენ: შიდა-ევროპული ორგანიზაციის წევრი სახელმწიფოების საგადასახადო ადმინისტრაციების ხელმძღვანელი პირები, საქართველოს მთავრობის მაღალი თანამდებობის პირები, ევროკომისიის, CREDAF-ის, საგადასახადო ადმინისტრაციათა შიდა ამერიკული ქსელის (CIAT), საერთაშორისო სავალუტო ფონდის (IMF), მსოფლიო საბაჟო ორგანიზაციის და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები, ასევე ბიზნეს სექტორის და აკადემიური წრეების წარმომადგენლები.

ღონისძიების ფარგლებში, გაიმართა ადმინისტრაციული და ტექნიკური სესიები. ტექნიკური სესიის პროფესიული თემა იყო „საერთაშორისო საგადასახადო სისტემისა და საგადასახადო ადმინისტრაციების ტრანსფორმაცია“. ტექნიკური სესიის ფარგლებში, ასევე გაიმართა ტექნოლოგიური გამოფენა IOTA TechExpo - „ციფრული ტრანსფორმაცია მოქმედებაში“. გამოფენაზე წარდგენილ იქნა სხვადსხვა ქვეყნის საგადასახადო ადმინისტრაციის მიერ დანერგილი ახალი ციფრული პროდუქტები, რომლებიც ხელს შეუწყობს საგადასახადო ადმინისტრაციების ციფრული ტრანსფორმაციის ჩამოყალიბებას. აღსანიშნავია, რომ შემოსავლების სამსახურმა 2023 წელს შემუშავებული ინოვაციური პროგრამები და ახალი ციფრული პროდუქტები წარადგინა როგორც ტექნიკურ სესიებზე, ასევე გამოფენის ფარგლებში.

შემოსავლების სამსახურის IOTA-ს პრეზიდენტად არჩევამ და გენერალური ასამბლეის მასპინძლობამ, საქართველოს შესაძლებლობა მისცა მკაფიოდ წარმოეჩინა, როგორც საკუთარი, ასევე რეგიონის სხვადასხვა ქვეყნის საგადასახადო ადმინისტრაციის დღის წესრიგით გათვალისწინებული პრიორიტეტული საკითხები.

OECD-ის გლობალური ფორუმის კომპეტენტურ უწყებათა კონფერენცია

2023 წლის 15-16 მაისს თბილისში, საქართველოს შემოსავლების სამსახურმა უმასპინძლა ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) გამჭვირვალობისა და ინფორმაციის გაცვლის გლობალური ფორუმის კომპეტენტურ უწყებათა რიგით მე-10 ყოველწლიურ კონფერენციას. ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღო77 ქვეყნის 160-ზე მეტმა მონაწილემ.

კონფერენცია მიეძღვნა საგადასახადო ადმინისტრაციებს შორის, საგადასახადო მიზნით ინფორმაციის გაცვლის სტანდარტების განხილვას. ამასთან, ღია დისკუსიის ფორმატში, მონაწილეებმა ერთმანეთს გაუზიარეს მოსაზრებები და წარმატებული გამოცდილება. დისკუსიები მოიცავდა მოთხოვნის საფუძველზე ინფორმაციის გაცვლის (EOIR), ასევე ფინანსური ანგარიშის ინფორმაციის ავტომატური გაცვლის (AEOI)

სტანდარტების განხორციელებასთან დაკავშირებულ პრაქტიკულ საკითხებს. მონაწილეებს მნიშვნელოვანი დრო დაეთმოთ, გაეზიარებინათ საუკეთესო პრაქტიკა ინფორმაციის გაცვლის (EOI) პროცესის ყველა ეტაპზე ეფექტური ურთიერთობების განვითარებისა და შენარჩუნების შესახებ.

კონფერენციის ფარგლებში, საგადასახადო მიზნებისათვის ინფორმაციის გაცვლაზე საქართველოს კომპეტენტურმა ორგანომ, შემოსავლების სამსახურის ანალიტიკურმა დეპარტამენტმა მონაწილეებს გაუზიარა, ინფორმაციის გაცვლის მექანიზმის ეფექტური ადმინისტრირების კუთხით, საქართველოს შემოსავლების სამსახურის მიერ განხორციელებული ღონისძიებების შესახებ ინფორმაცია და მიღწეული შედეგები.

აღსანიშნავია, რომ პანდემიის გამო, 2019 წლის შემდეგ, ეს იყო პირველი ღონისძიება, რომელიც ჩატარდა ფიზიკური მონაწილეობით, არა ვირტუალურად. ფორმატმა მონაწილეებს შესთავაზა სივრცე ძალიან ნაყოფიერი დისკუსიებისთვის და კომპეტენტურ ორგანოებს მისცა შესაძლებლობა გაეფართოებინათ შესაბამისი პროფესიული საკომუნიკაციო ქსელები.

„სარტყელი და გზის ინიციატივის“ რიგით მეოთხე ფორუმი

2023 წლის 11-13 სექტემბერს, შემოსავლების სამსახურმა უმასპინძლა „სარტყელი და გზის ინიციატივის“ ფარგლებში, საგადასახადო ადმინისტრაციათა თანამშრომლობის (BRITACOM) მეოთხე წლიურ ფორუმს. ღონისძიებაში მონაწილება მიიღო 300-ზე მეტმა დელეგატმა, მათ შორის იყვნენ 32 ქვეყნის საგადასახადო ადმინისტრაციის ხელმძღვანელი პირები და წარმომადგენლები, 10 საერთაშორისო ორგანიზაციის ექსპერტები და წარმომადგენლები, ასევე კერძო სექტორი.

ფორუმის მთავარი თემა იყო წევრ ქვეყნებში „საგადასახადო სისტემების გარემოს გაუმჯობესება“. აღნიშნული ღონისძიება „სარტყელი და გზის ინიციატივის“ საკმაოდ მაღალი დონის პლატფორმაა და გამოცდილების გაზიარების, ასევე პარტნიორული ურთიერთობების განვითარების კუთხით კარგ შესაძლებლობას წარმოადგენს. ამასთან, ფორუმის მიზანია, წევრ ქვეყნებს შორის, მეგობრული ურთიერთობის კიდევ უფრო გაღრმავება და საქმიან წრეებს შორის მომავალი თანამშრომლობის განვითარება.

აღსანიშნავია, რომ ღონისძიების მასპინძლობით საქართველოს ავტომატურად მიენიჭა პრეზიდენტი ქვეყნის სტატუსი, ხოლო შემოსავლების სამსახურის ხელმძღვანელი გახდა აღმასრულებელი საბჭოს თავმჯდომარე.

ქვეყნების მიხედვით ანგარიშგება (CBCR)

საქართველო 2016 წლიდან წარმოადგენს „დასაბეგრი ბაზის შემცირებისა და მოგების გადატანის“ (BEPS) ინკლუზიური პლატფორმის ასოცირებულ წევრს. სახელმწიფომ აიღო ვალდებულება დანერგოს „დასაბეგრი ბაზის შემცირებისა და მოგების გადატანის“ (BEPS) პროექტით გათვალისწინებული 4 მინიმალური სტანდარტი, რომელთაგან ერთ-ერთია მე-13 ღონისძიება. აღნიშნული სტანდარტი ითვალისწინებს ქვეყნების მიხედვით ანგარიშების გაცვლას (Country-by-Country Reporting).

„დასაბეგრი ბაზის შემცირებისა და მოგების გადატანის“ (BEPS) პროექტის მე-13 ღონისძიების ფარგლებში, მულტინაციონალური საწარმოები, რომელთა ჯგუფის კონსოლიდირებული შემოსავალი აღემატება 750

მლნ ევროს, ვალდებულნი არიან მოამზადონ ქვეყნების მიხედვით ანგარიშგება (Country-by-Country Report). ანგარიშგება მოიცავს ინფორმაციას ჯგუფის მიერ მიღებული შემოსავლის, მოგების, გადახდილი გადასახადის და ეკონომიკური აქტივობის შესახებ იმ იურისდიქციების მიხედვით, სადაც ჯგუფში შემავალი საწარმოები ოპერირებენ. აღნიშნული ანგარიშგება იცვლება საგადასახადო ადმინისტრაციებს შორის, რომელთა რეზიდენტებსაც წარმოადგენენ მულტინაციონალურ საწარმოთა ჯგუფში შემავალი საწარმოები და გამოიყენება საერთაშორისო კონტროლირებადი ოპერაციების (Transfer pricing) რისკების შესაფასებლად.

სტანდარტით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულება მოიცავს, ქვეყნის დონეზე შესაბამისი სამართლებრივი ბაზის შექმნას და საგადასახადო ადმინისტრაციაში ანგარიშგების გაცვლის პროცესის უზრუნველსაყოფად სათანადო ტექნიკური შესაძლებლობების არსებობას.

აღნიშნული ვალდებულების შესრულების მიზნით მიღებულია პირველადი კანონმდებლობა, მიმდინარეობს მუშაობა პროექტის განსახორციელებლად აუცილებელი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების შესამუშავებლად.

„დასაბეგრი ბაზის შემცირებისა და მოგების გადატანის“ (BEPS) პროექტის მე-13 ღონისძიების დანერგვის მიზნით, 2023 წელს, შემოსავლების სამსახურში შეიქმნა სამუშაო ჯგუფი სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულის წარმომადგენლის მონაწილეობით. ჯგუფი მიზნად ისახავს, საერთაშორისო დონორებთან და პარტნიორებთან თანამშრომლობის გზით, სამსახურში სტანდარტით გათვალისწინებული შიდა კონტროლის მექანიზმების დანერგვასა და შესაბამისი ტექნიკური გადაწყვეტების შემუშავებას, რათა 2024 წლის ბოლოსთვის შემოსავლების სამსახური მზად შეხვდეს ქვეყნების მიხედვით ანგარიშების გაცვლის პროცესს.

ფინანსური ანგარიშების შესახებ ინფორმაციის ავტომატური გაცვლა

2022 წელს, საქართველო „ფინანსური ანგარიშების შესახებ ინფორმაციის ავტომატური გაცვლის შესახებ“ მრავალმხრივ შეთანხმებას მიუერთდა და ანგარიშგების საერთო სტანდარტის (CRS) დანერგვის ვალდებულება აიღო. ანგარიშგების საერთო სტანდარტი (CRS) ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) მიერ პარტნიორ სახელმწიფოებს შორის ინფორმაციის ავტომატურად გაცვლის გლობალური ფორმაა.

შეთანხმების გათვალისწინებით, შემოსავლების სამსახური პასუხისმგებელია საქართველოში არსებული ფინანსური ინსტიტუტებისგან ანგარიშგების საერთო სტანდარტით (CRS) დადგენილი ინფორმაცია მოიპოვოს და სხვა იურისდიქციების კომპეტენტურ უწყებებს გადასცეს. ასევე, აწარმოოს ფინანსური ინსტიტუტების მიერ ანგარიშგების საერთო სტანდარტით (CRS) დადგენილი ვალდებულებების შესრულების მონიტორინგი.

ზემოაღნიშნული ვალდებულების შესრულება მოითხოვს, შემოსავლების სამსახურში სტანდარტით გათვალისწინებული ინფორმაციის უსაფრთხოების პოლიტიკის დანერგვას და ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) მხრიდან მის დადგენილ სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასებას. 2023 წელს, სამსახური აქტიურად იყო ჩართული ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) ექსპერტების მხრიდან ანგარიშგების საერთო სტანდარტის (CRS) დანერგვის მიზნებისთვის ინფორმაციული უსაფრთხოების სისტემის თავსებადობის შეფასების პროცესში.

ინფორმაციის გაცვლა საგადასახადო მიზნებისათვის

შემოსავლების სამსახური აქტიურად არის ჩართული ქვეყნის მიერ საგადასახადო საკითხებში ურთიერთდახმარების მიზნით აღებული საერთაშორისო ვალდებულებების შესრულების პროცესში.

საქართველო წარმოადგენს OECD-ისა და ევროპის საბჭოს მიერ ერთობლივად მიღებული 1988 წლის „საგადასახადო საკითხებში ადმინისტრაციული ურთიერთდახმარების შესახებ“ კონვენციის წევრ ქვეყნას. აღნიშნული კონვენციის მე-5 მუხლის მიხედვით, საქართველო ვალდებულია კონვენციის წევრ ქვეყნებთან გაცვალოს ის ინფორმაცია, რომელიც მიიჩნევა საჭიროდ შეთანხმების დებულებების შესასრულებლად ან შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის ადმინისტრირების მიზნით, ამ კონვენციით გათვალისწინებულ გადასახადებთან მიმართებაში. ამასთან, საქართველოს 58 ქვეყანასთან გაფორმებული აქვს ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილებისა და გადასახადების გადაუხდელობის აღკვეთის შესახებ შეთანხმებები, რომლებიც აგრეთვე, ითვალისწინებს საგადასახადო საკითხებში ურთიერთდახმარებას და ინფორმაციის გაცვლას. ინფორმაციის გაცვლის ვალდებულება ასევე გამომდინარეობს საგადასახადო საკითხებში ინფორმაციის გაცვლის ორმხრივი შეთანხმებებიდან.

საგადასახადო მიზნებისთვის ინფორმაციის გაცვლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია მოთხოვნის საფუძველზე ინფორმაციის გაცვლა (EOIR). 2011 წლის 11 აპრილს, ქვეყანა გახდა საგადასახადო მიზნებისთვის გამჭვირვალობისა და ინფორმაციის გაცვლის გლობალური ფორუმის წევრი, რაც უზრუნველყოფს ქვეყნებს შორის ინფორმაციის გაცვლას საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

2023 წლის განმავლობაში საქართველომ მიიღო ადმინისტრაციული ურთიერთდახმარების 60 მოთხოვნა. მათ შორის 43 ინფორმაციის გაცვლის მოთხოვნა, 3 სპონტანური ტიპის ინფორმაცია, 1 რეზიდენტი პირების შემოსავლების შესახებ ინფორმაცია და 13 სხვა ტიპის ადმინისტრაციული დახმარების (ვალის ამოღებაში დახმარება და სხვ.) მოთხოვნა. შემოსული მოთხოვნების 98%-ზე პასუხი გაცემულია საგადასახადო საკითხებში ინფორმაციის გაცვლის საერთაშორისო სტანდარტით დადგენილ 90 დღიან ვადაში.

ამავე პერიოდში საქართველოდან უცხოურ იურისდიქციებში ადმინისტრაციული ურთიერთდახმარების ფარგლებში გაგზავნილია 14 მოთხოვნა, მათ შორის 11 ინფორმაციის გაცვლის მოთხოვნა და 3 რეზიდენტი პირების შესახებ ინფორმაცია. აღსანიშნავია, რომ 2023 წელს წინა წელთან შედარებით გაზრდილია, როგორც შემოსული ისე გაგზავნილი მოთხოვნების სტატისტიკა. კერძოდ, 2022 წელთან შედარებით 53.5%-ით გაიზარდა ინფორმაციის გაცვლის მიზნით მიღებული მოთხოვნების რაოდენობა, ხოლო 120%-ით გაიზარდა უცხოურ იურისდიქციებში გაგზავნილი მოთხოვნების რაოდენობა. რაც სამსახურის მხრიდან საერთაშორისო ვალდებულებების შესრულების კარგ მაჩვენებლებთან ერთად გვიჩვენებს კანონშესაბამისობის გაუმჯობესების კუთხით საერთაშორისო თანამშრომლობის მექანიზმების უფრო ინტენსიურ გამოყენებას.

ახალი კომპიუტერიზებული საზრანზიტო სისტემის (NCTS) დანერგვა

2023 წელიდან, შემოსავლების სამსახურში ამოქმედდა ეროვნულ დონეზე დანერგილი ახალი კომპიუტერიზებული სატრანზიტო სისტემა (NCTS). ახალი კომპიუტერიზებული სატრანზიტო სისტემა (NCTS) და ევროკავშირის ერთიანი ტრანზიტისა (CTC) და საქონლით ვაჭრობაში ფორმალობების გამარტივების შესახებ (SAD) კონვენციებთან მიერთება „ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ“ შეთანხმებიდან (DCFTA) გამომდინარე საქართველოს მიერ აღებული ვალდებულებაა. აღნიშნულ კონვენციებთან მიერთება და „ახალი კომპიუტერიზებული სატრანზიტო სისტემის (NCTS)“ დანერგვა, საშუალებას იძლევა საბაჟო ორგანოში ელექტრონულად წარდგენილი ერთი ტრანზიტის დეკლარაციითა და ერთი გარანტიით, განხორციელდეს ტვირთის გადაზიდვა კონვენციის წევრ ქვეყნებში, კერძოდ, ევროკავშირის 27 ქვეყანაში, ევროკავშირსა და ევროპის თავისუფალი ვაჭრობის სივრცეში შემავალ ქვეყნებში (EFTA) - ისლანდია, ნორვეგია, ლიხტენშტეინი, შვეიცარია და ასევე თურქეთის რესპუბლიკაში, სერბეთში, მაკედონიაში, დიდი ბრიტანეთსა და უკრაინაში.

პროგრამის საერთაშორისო რეჟიმში გაშვება 2024 წლიდან იგეგმება, რათა სრულად განხორციელდეს კონვენციებით გათვალისწინებული ბენეფიტებით სარგებლობა, მათ შორის, საქონლის ერთიანი საბაჟო დოკუმენტით გადაადგილება კონვენციის თითოეული ხელშემკვრელი სახელმწიფოს საბაჟო ტერიტორიაზე.

შემოსავლების სამსახურში „ახალი კომპიუტერიზებული სატრანზიტო სისტემის (NCTS)“ საერთაშორისო დონეზე იმპლემენტაციის მზაობის შეფასება ევროკავშირის საგადასახადო და საბაჟო გაერთიანების დირექტორატის დელეგაციის ავსტრიის, ნიდერლანდების, ლატვიის, ჩეხეთისა და თურქეთის საბაჟო/საგადასახადო ადმინისტრაციების წარმომადგენლების მონაწილეობით განხორციელდა.

ასოცირების ხელშეკრულებით გათვალისწინებული საბაჟო სფეროში არსებული ვალდებულებების შესრულების მიზნით, CTC კონვენციაში განხორციელებული ბოლო ცვლილებების შესაბამისად, მომზადდა საქართველოს საბაჟო კანონმდებლობებში განსახორციელებელი ცვლილებების პროექტი.

საქართველო - აზერბაიჯანის ერთობლივი საბაჟო-გამშვები პუნქტი

2023 წელს, აზიის განვითარების ბანკის მხარდაჭერით შემუშავდა საქართველოსა და აზერბაიჯანის ერთობლივი საბაჟო-გამშვები პუნქტის – „იფექ–იოლუ“-„აბრეშუმის გზა“ ხელშეკრულების, თანმხლები პროცედურული პროტოკოლის და კონცეპტუალური დიზაინის პროექტები. განისაზღვრა და შესაბამის უწყებებთან შეთანხმდა ერთობლივი საბაჟო გამშვები პუნქტის კოორდინატები.

ერთობლივი სასაზღვრო გამტარი პუნქტის პროექტის განხორციელების მიზნით, შექმნილია საქართველო - აზერბაიჯანის ერთობლივი უწყებათაშორისი სამუშაო ჯგუფი, რომლის ფარგლებშიც მომზადდა ხელშეკრულების პროექტი.

პროექტის ცალკეული კომპონენტების მხარდაჭერის უზრუნველსაყოფად თანამშრომლობა მიმდინარეობს საერთაშორისო პარტნიორებთან.

აღნიშნული ერთობლივი საბაჟო გამშვები პუნქტი ხელს შეუწყობს ქვეყნების სატრანზიტო და ლოგისტიკური შესაძლებლობების განვითარებას და კიდევ უფრო გააძლიერებს რეგიონის სატრანსპორტო და სავაჭრო კავშირებს.

პარტნიორი ქვეყნებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ გაწეული ტექნიკური დახმარება

საერთაშორისო სავალუტო ფონდი (IMF)

2023 წლის განმავლობაში, საერთაშორისო სავალუტო ფონდის ექსპერტების მიერ, შემოსავლების სამსახურისთვის გაწეული ტექნიკური დახმარება მოიცავდა შემდეგ მიმართულებებს:

- კანონშესაბამისობის რისკის მართვის შემდგომი განვითარება;
- მსხვილ გადამხდელთა ოფისის განვითარება;
- საგადასახადო აუდიტის რეფორმა;
- საგადასახადო დავალიანების მართვა;
- შემოსავლების სამსახურის ორგანიზაციული შესაძლებლობების გაძლიერება.

პროექტის ფარგლებში, სამსახურს ეწვია ექსპერტების 3 მისია და შედგა ტექნიკური დახმარების 5 ანგარიში.

ამერიკის შეერთებული შტატებთან თანამშრომლობა

აშშ-ს მთავრობის დახმარების ერთ–ერთი მიმართულება, ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საბაჟო ინფრასტრუქტურის აღჭურვასა და საინსპექციო სისტემების გაძლიერებას ითვალისწინებს.

ამ მიზნით, ამერიკის შეერთებული შტატების ექსპორტის კონტროლისა და საზღვრის უსაფრთხოების პროექტის (EXBS) ფარგლებში, შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტს ბარგის რენდგენო ინსპექტირება 2 სკანერი (RAPISCAN 628XR) გადაეცა. გადმოცემული სკანერები განთავსდა ბათუმისა და ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტებში. უნდა აღინიშნოს, რომ ინსპექტირების რენტგენოსკანერი შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტის ეფექტური მუშაობისათვის საუკეთესო მაღალტექნოლოგიური შენაძენია. შემოწმების ეს უახლესი სისტემა უნიკალური საშუალებაა მგზავრთა ბარგის სწრაფი, უსაფრთხო და შეუფერხებელი სკანირებისთვის.

მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ საქართველოს მასშტაბით, საბაჟო დეპარტამენტის გაფორმების ეკონომიკურ ზონებსა და საბაჟო გამშვებ პუნქტებზე ფუნქციონირებს სტაციონარული და მობილური საავტომობილო რენტგენული ინსპექტირების სისტემები. ამასთან, საბაჟო გამშვები პუნქტები აღჭურვილია, როგორც ბარგის, ასევე ხელბარგის, პალეტებისა და სხეულის დათვალიერების რენტგენული ინსპექტირების დანადგარებით.

შუა დერეფანში გაზრდილი ტვირთბრუნვის, სანქციების აღსრულების მხარდაჭერის პროცესში, ძალიან მნიშვნელოვანია რენტგენო ინსპექტირების სკანერების როლი ვაჭრობის უსაფრთხოებისა და ქვეყნის პარტნიორული როლის კეთილსინდისიერად შესასრულებლად.

ევროკავშირის საგადასახადო და საბაჟო პროგრამები (Fiscalis and Customs programs of the European Union)

ევროკავშირის საგადასახადო პროგრამებში ჩართულობა გულისხმობს წევრი სახელმწიფოებისა და კეთილსინდისიერი გადასახადის გადამხდელის ფინანსური ინტერესების დაცვას, საგადასახადო ადმინისტრაციებს შორის საუკეთესო პრაქტიკის გაზიარებასა და ევროკავშირის საგადასახადო კანონმდებლობის ეროვნულ დონეზე დანერგვას. პროგრამით მიღებული გრანტი საშუალებას იძლევა დაფინანსდეს ევროკავშირის მიერ დადგენილი პრიორიტეტული მიმართულებების შესაბამისი ღონისძიებები. საგადასახადო პროგრამის საერთო ბიუჯეტი შეადგენს 270 მილიონ ევროს.

საერთაშორისო ვაჭრობის პროცედურების გამარტივება და თანამედროვე ტექნოლოგიებზე დაფუძნებული ახალი და ეფექტური სერვისების შემუშავება წარმოადგენს ევროკავშირის საბაჟო პროგრამებში საქართველოს ჩართულობის მიზანს. პროგრამა წაახალისებს რეგიონის სატრანზიტო და სავაჭრო პოტენციალის განვითარებას, საქართველოს მიმზიდველობასა და ახალი საინვესტიციო შესაძლებლობების შექმნას. საბაჟო პროგრამის საერთო ბიუჯეტი შეადგენს 950 მილიონ ევროს.

საქართველოს შეუძლია პროგრამის ფარგლებში, როგორც ევროკომისიის ან/და სხვა სახელმწიფოების მიერ დაგეგმილ აქტივობებში ჩართვა და მონაწილეობა, ასევე, პროგრამების პრინციპებიდან გამომდინარე საგადასახადო და საბაჟო საკითხებზე შესაბამისი აქტივობების ინიცირება.

2023 წელს, გაფორმდა საგადასახადო და საბაჟო პროგრამებისთვის საგრანტო შეთანხმებები და ჩაირიცხა თითოეული პროგრამისთვის გათვალისწინებული გრანტის თანხის 60%. შემოსავლების სამსახურმა საგადასახადო პროგრამის გრანტის ფარგლებში, განახორციელა არაერთი ღონისძიება, მათ შორის, უმასპინძლა საერთაშორისო საინფორმაციო/სამუშაო ხასიათის შეხვედრას, რომელშიც ევროპის 22 ქვეყნის საგადასახადო ადმინისტრაციის 40-მდე თანამშრომელი იყო ჩართული, მათ შორის, შემოსავლების სამსახურის 6 წარმომადგენელი. შეხვედრის მიზანს წარმოადგენდა სამუშაო ვიზიტების ორგანიზების და მასთან დაკავშირებული მოთხოვნების განხილვა.

ასევე განახორციელა რამდენიმე სამუშაო ვიზიტი ევროკავშირის ქვეყნების საგადასახადო ადმინისტრაციებში, სხვადასხვა მიმართულებებით, ევროკავშირის ქვეყნის საგადასახადო ადმინისტრირებისა და საერთაშორისო სტანდარტების დანერგვის თაობაზე ცოდნისა და გამოცდილების გაზიარების მიზნით.

მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციასთან თანამშრომლობა (IOM)

მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია (IOM) ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით, შემოსავლების სამსახურს ორი პროექტის ფარგლებში უწევს დახმარებას. საქართველოში საზღვრისა და მიგრაციის მართვის მდგრადობის უზრუნველყოფა - SBMMG და SAFE - საქართველოში საზღვრების ინტეგრირებული მართვის მხარდაჭერა. 2023 წლის განმავლობაში, არაერთი მხარდამჭერი აქტივობა განხორციელდა, როგორც აღჭურვილობის ასევე ინსტიტუციონალური განვითარების კუთხით. 2023 წელს, შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტს ორი ერთეული ბარგის და ერთი ხელბარგის სკანერი გადაეცა. სკანერები თბილისის და ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტებში, ასევე საბაჟო გამშვებ პუნქტში „ლაგოდეხი“ განთავსდა. დახმარების ფარგლებში, საბაჟო დეპარტამენტს, ასევე 45 ერთეული პასპორტის წამკითხველი მოწყობილობები გადაეცა, რომლებიც სხვადასხვა საბაჟოზე გადანაწილდა.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მხარდაჭერა

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკამ „საქართველოს ხუთი საბაჟო გამშვები პუნქტისთვის საბაჟო ინსპექტირების აღჭურვილობის დახმარების პროექტის“ განხორციელების ფარგლებში, 2023 წელს, შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტს შვიდი ერთეული რენტგენო ინსპექტირების სისტემა გადასცა. სკანერები განთავსდა საბაჟო გამშვებ პუნქტზე „სარფი“, „ყაზბეგი“, „წითელი ხიდი“, „სადახლო“, „ნინოწმინდა“ და „კარწახი“.

შვედეთის საგადასახადო ადმინისტრაციასთან თანამშრომლობა

2023 წელს, ხელი მოეწერა საქართველოს შემოსავლების სამსახურსა და შვედეთის საგადასახადო ადმინისტრაციას შორის პროექტს, რომელიც გულისხმობს, შვედეთის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (SIDA) დაფინანსებით, ოთხწლიან (2024-2027 წწ.) ტექნიკურ დახმარებას შემდეგი მიმართულებებით:

- გადამხდელთა მომსახურება და განათლება;
- კანონშესაბამისობის რისკების მართვა და მონაცემთა საცავი;
- უწყებრივი რისკების მართვა.

ორი ქვეყნის საგადასახადო ადმინისტრაციებს შორის ოთხწლიანი ტექნიკური დახმარების პროექტის განხორციელება, ხელს შეუწყობს საგადასახადო ადმინისტრაციებს შორის ურთიერთანამშრომლობის გაღრმავებას, ცოდნისა და გამოცდილების გაცვლას.

„საგადასახადო ინსპექტორები საზღვრებს გარეშე" (TIWB) პროექტის რიგით მეოთხე ტექნიკური დახმარება

პროექტის მიზანია შემოსავლების სამსახურის აუდიტორებს გაეწიოს პრაქტიკული დახმარება საერთაშორისო კონტროლირებადი ოპერაციების შეფასებისა და აუდიტის ჩატარების მიმართულებით. 2023 წელს განხორციელდა ექსპერტის პირველი ვიზიტი, რომლის დროსაც განხილულ იქნა პროექტის სამოქმედო გეგმით განსაზღვრული აქტივობების პრიორიტეტული მიმართულებები და შემუშავდა სამომავლო თანამშრომლობის გეგმები. ვიზიტის ფარგლებში, აუდიტის დეპარტამენტის საერთაშორისო კონტროლირებული ოპერაციების საკითხთა შეფასების (ტრანსფერფრაიზინგის) სამმართველოს თანამშრომლებთან განიხილეს არსებული ქეისები.

პროექტის ფარგლებში განხორციელდება ისეთი საკითხებისა და მიმართულებების გაზიარება, როგორიცაა საერთაშორისო დაბეგვრა, შემოწმების ხარისხის გაუმჯობესება, ასევე დავების დეპარტამენტისთვის იმ გზებისა და მეთოდების გაცნობა, რომლებიც შემდგომ გამოყენებული იქნება საერთაშორისო საგადასახადო დავების წარმოებისას.

2023 წელს განხორციელებული სხვა მნიშვნელოვანი ღონისძიებები

შემოსავლების სამსახურსა და ბიზნესსექტორს შორის თანამშრომლობა

2023 წელს, აქტიურად მიმდინარეობდა შეხვედრები შემოსავლების სამსახურსა და ბიზნესსექტორის წარმომადგენლებს შორის უწყებაში მიმდინარე სიახლეების და გატარებული რეფორმების გაცნობის მიზნით. დაინტრესებულ მხარეებთან პრო აქტიური კომუნიკაცია სამსახურის ერთ-ერთი პრიორიტეტია. ამ კუთხით სამსახური ნაყოფიერად თანამშრომლობს სხვადასხვა ბიზნეს ასოციაციასა და პროფესიულ გაერთიანებასთან.

ავტორიზებული ეკონომიკური ოპერატორი (AEO)

ავტორიზებული ეკონომიკური ოპერატორის კონცეფცია დაფუძნებულია საბაჟოსა და ბიზნესს შორის პარტნიორობაზე. ავტორიზებული ეკონომიკური ოპერატორი შეიძლება გახდეს როგორც მსხვილი, ასევე საშუალო და მცირე კომპანია, რომელიც გარკვეული კრიტერიუმების დაკმაყოფილების შემდგომ მიიღებს სტატუსს და საბაჟოსთან ერთად მჭიდროდ განაგრძობს მუშაობას საერთაშორისო მიწოდების ჯაჭვის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად.

სტატუსის მფლობელი კომპანია სარგებლობს სხვადასხვა უპირატესობებით. კერძოდ: სტატუსის მფლობელის კუთვნილი/მფლობელობაში არსებული საქონლის მიმართ საბაჟო ფორმალობების განხორციელებისას შემცირებულია საქონლის ფიზიკური დათვალიერებისა და დოკუმენტური შემოწმების სიხშირე, ხოლო საბაჟო გაფორმების პროცედურები პრიორიტეტული წესით სრულდება.

2023 წელს გაფართოვდა ავტორიზებული ეკონომიკური ოპერატორის სტატუსის მქონე კომპანიების რაოდენობა და მათი რიცხვი 2-დან 10-მდე გაიზრდა.

ავტორიზებული ეკონომიკური ოპერატორის (AEO) ახალი სტატუსისა და გამარტივებული საბაჟო ფორმალობების შესახებ გადამხდელთა შორის ცნობიერების დონის ამაღლების მიზნით, ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის წარმომადგენლებმა, საქართველოს ბიზნეს ასოციაციის (BAG) წარმომადგენლებთან სამუშაო შეხვედრა გამართეს. სამსახურის საბაჟო დეპარტამენტის თანამშრომლებმა, კომპანიების ახალი სტატუსის შესახებ, მომზადებული პრეზენტაცია წარადგინეს და კომპანიის წარმომადგენლების მიერ დასმულ შეკითხვებს უპასუხეს.

ბიზნესისათვის ვაჭრობის ხელშეწყობის სემინარი

ევროპული ბიზნეს ასოციაციის (EBA) ორგანიზებით, USAID-ის ეკონომიკური მმართველობის პროგრამის მხარდაჭერითა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურთან თანამშრომლობით, გაიმართა ვაჭრობის ხელშეწყობის სემინარი ბიზნესისათვის, რომელიც მიზნად ისახავდა პროდუქტის წარმოშობის წესების შესახებ ცნობიერების ამაღლებას და კერძო სექტორის წარმომადგენლებისათვის ევროკავშირის ქვეყნებში ექსპორტისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის მიწოდებას. შეღავათიანი წარმოშობის წესები მეწარმეებს საშუალებას აძლევს, გამოიყენონ უფრო მეტი ადგილობრივი და თავისუფალი ვაჭრობის პარტნიორი ქვეყნის მასალები და ნედლეული, წარმოების პროცესის ნაირსახეობები და მექანიზმები იმ პროდუქციის წარმოების პროცესში, რომელიც შემდგომ ისარგებლებს სატარიფო შეღავათებით თავისუფალი ვაჭრობის პარტნიორ სახელმწიფოში.

„საერთაშორისო ვაჭრობის ხელშეწყობის მიზნით განხორციელებული რეფორმებისა და ავტორიზებული ეკონომიკური ოპერატორის პროგრამის მნიშვნელობა ბიზნეს სექტორის განვითარებისათვის“

საერთაშორისო ვაჭრობის ეროვნული კომიტეტის მუშაობის მხარდაჭერის, ავტორიზებული ეკონომიკური ოპერატორების პროგრამის პოპულარიზაციის და საბაჟო ფორმალობების გამარტივების შესახებ კერძო სექტორის ცნობიერების ამაღლების მიზნით, გაიმართა კონფერენცია თემაზე: „საერთაშორისო ვაჭრობის ხელშეწყობის მიზნით განხორციელებული რეფორმებისა და ავტორიზებული ეკონომიკური ოპერატორის პროგრამის მნიშვნელობა ბიზნეს სექტორის განვითარებისათვის“. აღნიშნულმა ღონისძიებამ შეაჯამა ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს ეკონომიკური მმართველობის პროგრამის (USAID) მხარდაჭერილი და ევროკავშირი-საქართველოს ბიზნეს საბჭოს (EUGBC) მიერ განხორციელებული პროექტი.

კერძო სექტორის განვითარების ხელშეწყობის საკონსულტაციო საბჭო

ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის წარმომადგენლებმა, კერძო სექტორის განვითარების ხელშეწყობის საკონსულტაციო საბჭოს სხდომაში მიიღეს მონაწილეობა. შეხვედრის ფარგლებში, შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტის წარმომადგენელმა მონაწილეებს ელექტრონული სერვისების განვითარების შესახებ მომზადებული პრეზენტაცია წარუდგინეს და უწყებაში მიმდინარე რეფორმებზე ისაუბრეს. გაიმართა დისკუსია არსებულ გამოწვევებსა და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე. ღონისძიება საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ინიციატივითა და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მხარდაჭერით ჩატარდა.

2023 წლის 26 იანვარს, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მებაჟე-ოფიცრებმა მსოფლიოს საბაჟო ორგანიზაციის 180-ზე მეტ წევრ საბაჟო ადმინისტრაციასთან ერთად, საბაჟოს საერთაშორისო დღე აღნიშნეს. ღონისძიების სლოგანს წარმოადგენდა „იზრუნე მომავალ თაობაზე, გააზიარე გამოცდილება და ცოდნა“. შეხვედრაზე მოწვეულ სტუმრებს საბაჟოს საერთაშორისო დღე ვიდეო მიმართვით მიულოცეს აზერბაიჯანის, თურქეთის, მოლდოვას, უკრაინისა და უზბეკეთის სახელმწიფო საბაჟო ადმინისტრაციების ხელმძღვანელებმა.

სამსახურებრივი მოვალეობის ღირსეულად შესრულებისა და მჭიდრო თანამშრომლობისთვის, მსოფლიო საბაჟო ორგანიზაციის მიერ დაწესებული ღირსების მოწმობები გადაეცათ საბაჟო დეპარტამენტის 18 მებაჟე-ოფიცერს, პარტნიორ უწყებას - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტს, ასევე ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD) წარმომადგენლობას. ამასთან, საბაჟო სისტემების ციფრული ტექნოლოგიებით სრულყოფის პროცესში აქტიური მონაწილეობისთვის, ასევე პირველი რობოტი მებაჟე ოფიცრის შექმნისთვის მადლობის სერტიფიკატი გადაეცა ინოვაციურ კომპანია „ZEPTOS“-ს.

საგადასახადო და საბაჟო სერვისების სრულყოფისა და განვითარების უზრუნველსაყოფად გაწეული ხარჯები

ეფექტური საგადასახადო ადმინისტრირების მხარდაჭერის მიზნით, შემოსავლების სამსახური 2023 წელს უწყვეტ რეჟიმში ახორციელებდა სხვადასხვა პროექტებსა და ღონისძიებებს, რაც მოიცავდა როგორც ადმინისტრაციულ შენობებში, გადამხდელთა მომსახურების ოფისებსა და საბაჟო-გამშვებ პუნქტებში სამშენებლო/სარემონტო სამუშაოების ჩატარებას, ასევე შესაბამისი ტექნიკური აღჭურვილობის შესყიდვას და სამსახურის საჭიროების შესაბამისად, სხვადასხვა მიმდინარე ღონისძიებების დაფინანსებას.

აღსანიშნავია, რომ შემოსავლების სამსახურის დაფინანსების ძირითადი წყაროა საკუთარი შემოსავლები, რომელიც გენერირდება სხვადასხვა მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების მეშვეობით.

ეკონომიკურმა ზრდამ და გაზრდილმა ტვირთბრუნვამ მნიშვნელოვანი გავლენა იქონია შემოსავლების სამსახურის საკუთარ შემოსავლებზე, კერძოდ, 2023 წელს სამსახურის საკუთარმა შემოსავალმა შეადგინა 247,7 მლნ. ლარი,. რაც 38%-ით აღემატება 2022 წლის მონაცემს (179,6 მლნ. ლარი), ხოლო 95,5%-ით 2021 წლის მონაცემს (126,7 მლნ. ლარი).

2023 წელს, შემოსავლების სამსახურის ნაერთ ბიუჯეტში, გადასახდელების გეგმა შეადგენდა 241 მლნ. ლარს, სამსახურის მიერ გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 220,6 მლნ ლარი, რომლის გადანაწილება ხარჯების ტიპების მიხედვით მოცემულია გრაფიკზე.



2023 წელს განხორციელებული მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული პროექტებიდან აღსანიშნავია:

- **აუდიტის დეპარტამენტის ადმინისტრაციული შენობის განახლება -** თანამშრომელთა სამუშაო პირობების გაუმჯობესების მიზნით, აქტიურად მიმდინარეობდა შენობის სარემონტო/სარეაბილიტაციო სამუშაოები. პროექტი ითვალისწინებს სამუშაო სივრცის სრულ განახლებას, შენობის აღჭურვას გათბობა-გაგრილების ახალი სისტემით, ყველა საჭირო ინვენტარითა და ტექნიკით.

- **ყაზბეგის საბაჟო გამშვები პუნქტი -** სახმელეთო გადაზიდვებისა და ვიზიტორების რაოდენობის ზრდის ტენდეციიდან გამომდინარე, 2023 წელს დაიწყო შენობის რეკონსტრუქციული სამუშაოები, რომელიც ითვალისწინებს სატვირთო გასასვლელების („გეითები“) რაოდენობის მატებას, ადმინისტრაციული შენობის გაფართოებას, პარკინგის ზონის მოწყობას და შიდა სარემონტო-მოსაპირკეთებელ სამუშაოებს. ასევე, ქვის ცვენის პრევენციის მიზნით, დამცავი გაბიონების მოწყობას. აღნიშნული სამშენებლო-სარეკონსტრუქციო სამუშაოების დასრულება დაგეგმილია 2024 წელს.
- **საბაჟო გამშვები პუნქტი „წითელი ხიდი“-** მოეწყო 6 ერთეული საპასპორტო ჯიხური. სრულად განხორციელდა კინოლოგიის შენობის დემონტაჟი და შემდგომი რეკონსტრუქცია. განახლდა შემოსვლის და გასვლის დარბაზები, ასევე, გასასვლელები („გეითები“) ჯიხურების სამუშაო სივრცე.

გადასახადის გადამხდელთა მომსახურების ხარისხის სტანდარტების გაუმჯობესებისა და ვიზიტორთა შეუფერხებელი გადაადგილების მიზნით, სარემონტო/სარეაბილიტაციო და კეთილმოწყობის სამუშაოები დასრულდა შემდეგ ობიექტებზე:

2023 წელს, შემოსავლების სამსახურის ობიექტების სამშენებლო/სარემონტო სამუშაოებზე, სამსახურის სხვადასხვა ტექნიკით, მანქანა-დანადგარებით და პროგრამული უზრუნველყოფის შესყიდვის მიზნით, (არაფინანსური აქტივების ზრდა) ჯამში დაიხარჯა 15.6 მილიონი ლარი, მათ შორის:

- ნაწილობრივ განახლდა შემოსავლების სამსახურის ავტოპარკი;
- გაფორმების ეკონომიკური ზონებისათვის - „თბილისი“ და „აეროპორტი“, შესყიდულ იქნა უწყვეტი კვების სისტემები;
- შემოსავლების სამსახურის ოფისებისთვის შეძენილი იქნა სხვადასხვა ავეჯი და ტექნიკა;
- საბაჟო გამშვები პუნქტი „ნინოწმინდა“ აღიჭურვა გარე პერიმეტრის სათვალთვალო სისტემებით;
- შემოსავლების სამსახურში კომპიუტერული ტექნიკის განახლების ფარგლებში, შესყიდულ იქნა 1 700 ერთეული კომპიუტერის კომპლექტი, 100 ერთეული პერსონალური კომპიუტერი და 400 ერთეული ლაზერული პრინტერი. ასევე, საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრისთვის დამატებით შესყიდული იქნა 40 ერთეული პერსონალური კომპიუტერი და 80 ერთეული მონიტორი.

სოციალური აქტივობა

შემოსავლების სამსახური წარმოადგენს მაღალი სოციალური პასუხისმგებლობის მქონე ორგანიზაციას. ამ მიზნით, სამსახური აქტიურად არის ჩართული სხვადასხვა სოციალურ აქტივობაში. მათგან აღსანიშნავია, 2023 წელს განხორციელებული შემდეგი ღონისძიებები:

უკრაინის სახელმწიფო საბაჟო სამსახურთან თანამშრომლობა

შემოსავლების სამსახურისა და უკრაინის საბაჟო და საგადასახადო სამსახურების თანამშრომლობის ფარგლებში, ასევე საქართველოს ბიზნეს ასოციაციის (BAG) აქტიური ჩართულობით, უკრაინის მებაჟე ოფიცრებისა და უკრაინის საგადასახადო ადმინისტრაციის თანამშრომლების შვილებს ქვეყნის მასშტაბით სხვადასხვა ღონისძიებებზე უმასპინძლეს. საქართველოში ყოფნის დროს, ბავშვებმა მოინახულეს ღირსშესანიშნავი ადგილები, ეწვივნენ მუზეუმებს და მონაწილეობა მიიღეს სხვადასხვა გასართობ აქტივობაში.

წიგნები საჩუქრად საჯარო სკოლას

1-ელ ივნისს, ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტის თანამშრომლებმა, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის წარმომადგენლებთან ერთად, მცხეთის რაიონის, სოფელ მუხრანში არსებულ საჯარო სკოლას ესტუმრნენ და სკოლის ბიბლიოთეკას შემეცნებითი, კლასგარეშე საკითხავი და მხატვრული ლიტერატურა საჩუქრად გადასცეს.

ყოველწლიური დასაქმების ფორუმი

2023 წლის დეკემბერში, ადამიანური რესურსების მართვისა და განვითარების დეპარტამენტის წარმომადგენლებმა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (თსუ), ასევე თავისუფალი და აგრარული უნივერსიტეტების მიერ ინიცირებულ, ყოველწლიურ დასაქმების ფორუმში მიიღეს მონაწილეობა. ფორუმის ფარგლებში, შემოსავლების სამსახურის თანამშრომლებმა სტუდენტებს უწყების საქმიანობის, მათ შორის სტაჟირების, პრაქტიკის პროგრამების, ასევე დასაქმებისა და კარიერული განვითარების შესაძლებლობების შესახებ სრულყოფილი ინფორმაცია მიაწოდეს.
სტუდენტები გაეცნენ შემოსავლების სამსახურის საქმიანობის სპეციფიკას, პროფესიული ცოდნისა და

გამოცდილების მიღების მხარდამჭერ სტაჟირებისა და პრაქტიკის გავლის პროგრამებს. ამასთან, მათ მიეწოდათ უწყებაში დასაქმებისა და კარიერული განვითარების შესაძლებლობების შესახებ სრული ინფორმაცია. აღსანიშნავია, რომ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და თავისუფალი და აგრარული უნივერსიტეტების სახელით, შემოსავლების სამსახურს, სტუდენტური დასაქმების ფორუმებში აქტიური მონაწილეობისთვის მადლობის სიგელები გადაეცა.
დასაქმების ფორუმი სხვადასხვა სპეციალობის მქონე სტუდენტებისთვის გაიმართა და მასში მონაწილეობა მიიღეს, როგორც საჯარო, ასევე კერძო სექტორის წარმომადგენლებმა.

მედიასემინარები ჟურნალისტებისთვის

ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის პროექტის - „კომუნიკაცია მედიასთან“ ფარგლებში, ეკონომიკური პროფილის მქონე ჟურნალისტებისთვის 2 მედიასემინარი გაიმართა. შემოსავლების სამსახურის სხვადასხვა დეპარტამენტის წარმომადგენლებმა სემინარის ფარგლებში, მედიის წარმომადგენლებს გააცნეს ინფორმაცია უწყებაში მიმდინარე სიახლეების შესახებ.

სემინარის ფარგლებში, ჟურნალისტებმა ასევე „ფოთის“ გაფორმების ეკონომიკური ზონა მოინახულეს და იმპორტში მოქცევისთვის აუცილებელ საქონლის გაფორმების პროცედურებს ადგილზე გაეცნენ. ამასთან, მედია-ტურის მონაწილეებმა, კომპანია NUCTECH -ის მიერ წარმოებული უახლესი რენტგენული ინსპექტირების სისტემები დაათვალიერეს და კინოლოგიის ცენტრის ნარკოტიკული საშუალებების ძებნაზე გაწვრთნილი სამსახურებრივი ძაღლის «დონას» მონაწილეობით, სიმულაციური აღმოჩენის პროცესს დაესწრნენ.

დეზინფორმაციაზე რეაგირება

დეზინფორმაცია და ყალბ ამბებზე რეაგირება, ისევე როგორც წინა წლებში, 2023 წელსაც შემოსავლების სამსახურისათვის მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენდა. შეცდომაში შემყვანი და ყალბი ინფორმაცია საფრთხეს უქმნიდა საზოგადოებაში სამსახურის მაღალი ნდობის შენარჩუნებას.

საინფორმაციო სივრცეზე მუდმივმა დაკვირვებამ აჩვენა, რომ ცალკეულმა პირებმა/მედიასაშუალებებმა საკუთარ დღის წესრიგს მორგებული და უწყების მიმართ დისკრედიტაციული შინაარსის არაერთი ცრუ განცხადება გაავრცელეს, რაზეც სამსახურის მიერ ხორციელდებოდა მყისიერი რეაგირება.

სამსახურის პროაქტიური მიდგომა მოიცავდა დროულ რეაგირებას დეზინფორმაციაზე ოფიციალური არხებით, საჯარო განცხადებებით და მედიასაშუალებებთან თანამშრომლობით, რასაც გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა საზოგადოების ზუსტი ინფორმაციით უზრუნველსაყოფად.

2023 წელს, ყალბ ინფორმაციებზე გამოწვევის დასაძლევად, სამსახურის მიერ 24 განმარტებითი განცხადება გამოქვეყნდა.

შემოსავლების სამსახურის აქტივობა საინფორმაციო საშუალებების მიხედვით

საქართველოს შემოსავლების სამსახური (GRS) აქტიურად იყენებს სხვადასხვა საკომუნიკაციო არხებს საზოგადოების ინფორმირებულობისა და ჩართულობის შესანარჩუნებლად. აღსანიშნავია, რომ სოციალური მედიის პლატფორმებზე სამსახურს მნიშვნელოვანი ზრდა ჰქონდა: გაიზარდა გამომწერთა რიცხვი Facebook-ზე, ხოლო ახალი ამბების პოსტებმა მილიონზე მეტი ნახვა დააგროვა. გარდა ამისა, 2023 წლის განმავლობაში 70 ინფორმაცია გამოქვეყნდა LinkedIn-ზე და 140 ვიდეორგოლი YouTube არხზე, ხოლო ეროვნული უმცირესობების უკეთ ინფორმირების მიზნით, გასული წლის განმავლობაში, აზერბაიჯანულენოვან და სომხურენოვან გაზეთებში 30 საინფორმაციო რელიზი გამოქვეყნდა.

საკომუნიკაციო არხების მიხედვით, 2023 წლის განმავლობაში, შემოსავლების სამსახურის აქტივობები მოცემულია დიაგრამაზე.



ცნობიერების ამაღლების კამპანიის ფარგლებში, მომზადდა და ტელეკომპანიების სამაუწყებლო ბადეში განთავსდა შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტის საქმიანობისა და უწყების ელექტრონული სერვისების შესახებ საიმიჯო ვიდეო რგოლები, ასევე, სამსახურის ბრენდირებით დამზადდა სხვადასხვა საიმიჯო პროდუქცია.

პარტნიორი ორგანიზაციები

საქართველოს შემოსავლების სამსახურმა, გასული წლის განმავლობაში, მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა თავისი შესაძლებლობების გაზრდისა და სერვისების მიწოდების გაუმჯობესებაში. ეს პროგრესი ძნელად მიღწევადი იქნებოდა ჩვენი საერთაშორისო და ადგილობრივი პარტნიორების მხარდაჭერის გარეშე. მათმა გამოცდილებამ, რესურსებმა და მხარდაჭერამ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ჩვენი სერვისების განვითარებასა და მოდერნიზაციაში. განსაკუთრებით ხაზგასასმელია ისეთი პარტნიორი ქვეყნების, საგადასახადო ადმინისტრაციების, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და დონორების მხარდაჭერა, როგორებიცაა:

ევროკავშირი

ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა

მსოფლიო ბანკის საერთაშორისო ფინანსური კორპორაცია (WB IFC)

საერთაშორისო სავალუტო ფონდი (IMF)

აზიის განვითარების ბანკი (ADB)

ევროპის თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია (OECD)

საგადასახადო ადმინისტრაციათა შიდა-ევროპული ორგანიზაცია (IOTA)

გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ)

აშშ ის საერთაშორისო განვითარების სააგენტო (USAID)

მსოფლიო საბაჟო ორგანიზაცია (WCO)

მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია (IOM)

გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP)

გაეროს ნარკოტიკებისა და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ოფისი (UNODC)

სუამ-ი (GUAM)

შვედეთის საგადასახადო ადმინისტრაცია

იტალიის შემოსავლების სააგენტო

საგადასახადო ადმინისტრაციების შიდა-ამერიკული ცენტრი (CIAT)

კავკასიის, ცენტრალური აზიის და მონღოლეთის რეგიონის შესაძლებლობების განვითარების ცენტრი (CCAMTAC)

ევროკომისიის ჯანმრთელობის და სურსათის უვნებლობის დირექტორატის (DG SANTE)

გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია (FAO)

საგზაო ტრანსპორტის საერთაშორისო კავშირი (IRU)

ხარისხის ცენტრი ფინანსებში (CEF)



სტატისტიკური მონაცემები









მომსახურება



სამეწარმეო სტატუსის მინიჭება



გაცემული აქციზური და არააქციზური მარკები









საბაჟო

სასაქონლო ექსპერტიზები



წარმოშობის სერტიფიკატები



ორმაგი დანიშნულების პროდუქციის ნებართვები





ვეტერინარული სასაზღვრო-საკარანტინო კონტროლი[3]





ფიტოსანიტარიული სასაზღვრო-საკარანტინო კონტროლი[4]





3 2023 წლის განმავლობაში ვეტერინარული სასაზღვრო-საკარანტინო კონტროლი განხორციელდა 17 728 სასაქონლო პარტიაზე.
4 2023 წლის განმავლობაში ფიტოსანიტარიული სასაზღვრო-საკარანტინო კონტროლი განხორციელდა 28 548 სასაქონლო პარტიაზე.


ცოცხალი გენმოდიფიცირებული ორგანიზმების კვლევის მიზნით, ლაბორატორიაში გაგზავნილი ნიმუშების რაოდენობა
2023
325
2022
449
2022
2023


ცოცხალი გენმოდიფიცირებული ორგანიზმების არსებობის დადასტურებული შემთხვევების რაოდენობა
2023
0
2022
1
2022
2023


სურსათის/ცხოველთა საკვების გენმოდიფიცირებული კომპონენტების არსებობის დადასტურებული შემთხვევების რაოდენობა
2023
5
2022
4
2022
2023

სანიტარიული, ფიტოსანიტარიული და ვეტერინარული სერტიფიკატები, მოწმობები და იმპორტის ნებართვები











არაცხოველური წარმოშობის სურსათის/ცხოველთა საკვების კონტროლის ჩატარების აქტების რაოდენობა	4581
ლაბორატორიული კვლევის მიზნით აღებული ნიმუშების რაოდენობა	321
ლაბორატორიული კვლევის დროს გამოვლენილი დარღვევა	2
უკან გაბრუნებული სასაქონლო პარტიების რაოდენობა	11
გადამუშავებას დაქვემდებარებული სასაქონლო პარტიების რაოდენობა	0
განადგურებული სასაქონლო პარტიების რაოდენობა	10

2023 წელს, მცენარეულ ცხიმზე დამზადებულ სურსათში ტრანსცხიმების შემცველობის ლაბორატორიული კვლევას 72 ნიმუში დაექვემდებარა.

საქონლის გაშვების შემდგომი კონტროლი

საბაჟო მიმართულებით გამოვლენილი სამართალდარღვევები

2023 წელს, საბაჟო კონტროლის შედეგად გამოვლინდა 58 663 სამართალდარღვევის ფაქტი, 49 336 საბაჟო სამართალდარღვევის ფაქტზე სანქციის სახით დარიცხულმა თანხამ შეადგინა 54 230 182 ლარი, ხოლო 9 027 ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტზე სანქციის სახით დარიცხულმა თანხამ შეადგინა 2 593 006 ლარი.

სამართალდარღვევები

გამოვლენილი სამართალდარღვევების რაოდენობა წინა წლის მაჩვენებელთან შედარებით გაიზარდა 7%-ით. ამასთან, 4%-ით გაიზარდა საბაჟო სამართალდარღვევების რაოდენობა.



სახელმწიფო საზღვარზე ნარკოტიკული და ფსიქოტროპული საშუალებების, იარაღის, ძვირფასი ლითონების და სიგარეტის უკანონო გადაადგილებასთან დაკავშირებული სამართალდარღვევების რაოდენობა

კინოლოგიური შემოწმების შედეგად გამოვლენილი სამართალდარღვევების რაოდენობა



სკანერით შემოწმებული სატრანსპორტო საშუალებები და გამოვლენილი სამართალდარღვევების რაოდენობა



საგადასახადო მონიტორინგი

მიმდინარე კონტროლის პროცედურები



კანონშესაბამისობის პროგრამებით გათვალისწინებული პროცედურები °

5 2023 წელს მოსალოდნელი დეკლარაციების განსაზღვრის პროგრამის ფარგლებში განხორციელებული 24 735 სატელეფონო კომუნიკაციის გარდა გაიგზავნა 1 040 044 შეტყობინება

აუდიტი

2023 წელს აუდიტის დეპარტამენტის მიერ აღსრულებულია 1 489 დავის გადაწყვეტილება, რომელზეც სულ დარიცხული 530 786 145 ლარიდან (ძირითადი 341 827 733 ლარი) შემცირებულია 122 516 989 ლარი (ძირითადი 79 283 220 ლარი).

გადასახადის გადამხდელების წერილობითი მომართვის (სსკ-ის 269-ე მუხლის მე-11 ნაწილით დადგენილი ნორმის გამოყენების თაობაზე) განხილვის შედეგად 178 გადამხდელს შეუმცირდა საგადასახადო შემოწმების აქტით დარიცხული ჯარიმის 50%, 1 396 860 ლარი.

დავები


გასაჩივრებული და დასრულებული საქმებიის რაოდენობა
(2023 წელი)
10 000
8 000
6 000
4 000
2 000
-
7 617
8 228
960
288
შემოსავლების სამსახურში შემოსული დავების რაოდენობა
შემოსავლების სამსახურში დასრულებული დავების რაოდენობა
სასამართლოში გასაჩივრებული საქმეების რაოდენობა
სასამართლოში დასრულებული საქმეების რაოდენობა


2023 წელს შემოსავლების სამსახურში
დასრულებული დავების შედეგები
32%
64%
4%
გადამხდელის საჩივარი დაკმაყოფილდა სრულად
გადამხდელის საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ
გადამხდელის საჩივარი არ დაკმაყოფილდა


2023 წელს სასამართლოში
დასრულებული დავების შედეგები
80%
11%
9%
გადამხდელის საჩივარი დაკმაყოფილდა სრულად
გადამხდელის საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ
გადამხდელის საჩივარი არ დაკმაყოფილდა


2023 წლის საჩივრების დასრულების ვადები
74%
12%
14%
0%
10%
20%
30%
40%
50%
60%
70%
80%
90%
100%
0 - 30 დღე
0 - 60 დღე
60 დღეზე მეტი

RS.GE

Facebook

Youtube

linkedin.com

გორგასლის ქ. N16, 0114

299 299

info@rs.ge

www.rs.ge

გორგასლის ქ. N16, 0114

2 299 299
info@rs.ge
www.rs.ge